

3

რამინ გაფეუდზადე
ისმაილ საძიგოვი
ნაიდა ისაევა

ინფორმატიკა

სახელმძღვანელო

გვ-3 კლასი

დამტკიცებულია
აზერბაიჯანის
რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს მიერ
(ბრძანება №973 05.07.2010 წ.)

B A K I N E S S L A Y T



2016

1

ინფორმაცია

5

ინფორმაცია ჩვენ გარშემო

1. ადამიანი და ინფორმაცია	6
2. ინფორმაცია პუნქტები	8
ინფორმაციაზე მუშაობა	
3. ინფორმაციული პროცესები	10
4. ინფორმაციის გადაცემა	12
5. ინფორმაციის კოდირება	14
6. რეპუსტი	16
7. ინფორმაციის დამუშავება	18
კითხვები და დავალებები	20

2

ალგორითმი

21

დაკავშირება

8. ოპიეპტების ჯგუფი	22
9. ოპიეპტის განვასხვავებული ნიშვნები	24
10. „ყველა“, „არც ერთი“, „ზოგიერთი“	26
11. კანონზომიერება	28

ქმნილებათა თანამდებობები

12. ალგორითმი	30
13. ცრიპტი ალგორითმი	32
14. განვთოება	34
15. მიზანებონილი გზის მოძრავი	37
16. განვითარებაზე ქმნილებები	39
კითხვები და დავალებები	41

3

კომპიუტერი

43

კომპიუტერზე მუშაობა

17. კომპიუტერი და ინფორმაცია	44
18. სამუშაო მაგიდა	46
19. საქაღალდე	49

გრაფიკული რედაქტორი

20. პროგრამა PAINT	52
21. პალიტრა	54
22. მუშაობა ნახატის ფრაგმენტზე	57
23. ნახატების შენახვა კომპიუტერში	60
კითხვები და დავალებები	63

ტექსტური რედაქტორი

24. პროგრამა WORDPAD	64
25. ტექსტებზე მუშაობა	67
26. ნახატის ჩამარა ტექსტში	70
27. სიტყვების შეცვლა ტექსტში	73
28. კომპიუტერული გამოთვლები	76
კითხვები და დავალებები	79
ტერმინები	80

LAW



პეტრ ალექსი

აზერბაიჯანის საჭარის ეროვნული ლიდერი

LAYH

LAYH

1

ინფორმაცია

1. ინფორმაცია ჩვენ გარშემო
2. ინფორმაციაზე მუშაობა




ინფორმაცია ჩვენ გარშემო

1. ადამიანი და ინფორმაცია

- რა ახალი ინფორმაცია მიიღეთ გზაში, სკოლისკენ რომ მოდიოდით?
- ახსენით, როგორ გესმით გამოთქმა „წიგნი ინფორმაციის წყაროა“.

ჩვენს გარემომცველ სამყაროში უამრავი ობიექტია. თითოეული მათგანი ინფორმაციის წყაროა. ადამიანი ინფორმაციას შეგრძნების ხუთი ორგანოს – **მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, შეხების –** საშუალებით აღიქვამს.

შესაბამისად, ადამიანის მიერ აღქმული ინფორმაციაც ხუთი სახისაა: მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი, გემოვნებითი, შეხებითი.



ადამიანის შეგრძნების ორგანოებით მიღებული ინფორმაცია შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს. უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად ადამიანებმა სხვადასხვა ხელსაწყო და მოწყობილობა გამოიგონეს.

- ?
- რა ინფორმაციას იღებს ადამიანი მოცემული საგნების დახმარებით?
 - შეგრძნების რომელ ორგანოს ეხმარება თითოეული მათგანი?



ობიექტის შესახებ ყველაფრის
გასაგებად ერთი სახეობის
ინფორმაციის მიღება,
ჩვეულებრივ, არ არის ხოლმე
საკმარისი.

- შეგრძნების ორგანოები
- ინფორმაციის სახეობანი
- ინფორმაციის პუნქტირივი წყარო
- ინფორმაციის ხელოვნური წყარო

სამახსოვრო

მაგალითი

ნიგიარი სახლში მარტო იყო. კარზე
დააკაკუნეს.
გოგონა კართან მივიდა და იკითხა:
– ვინ არის?
– მე ვარ, – უპასუხეს კარს იქიდან.
ნიგიარს ხმა არ ეცნო და კარი არ
გაალო.



როგორ გაიგოს
ნიგიარმა, ვინ დგას
კარს უკან?

არსებობს გემოს ოთხი
ძირითადი სახეობა: მლაშე,
მჟავე, ტკბილი და მწარე. ყველა
დანარჩენი მათი ერთმანეთთან
შერევით მიიღება.



ეს საინტერესოა

ინფორმაციის წყაროები იყოფა ორ ჯგუფად – **ბუნებრივ** და **ხელოვნურ** წყაროებად. ჩანჩქერი, ხის ფოთლები, ქარი, ყვავილები – ინფორმაციის ბუნებრივი წყაროებია. ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტები კი ინფორმაციის ხელოვნური წყაროებია. მაგრამ ზოგჯერ ძნელი გასარჩევია, ბუნებრივია თუ ხელოვნური ინფორმაციის ესა თუ ის წყარო.



დაასახელე შენ გარშემო არსებული ბუნებრივი და ხელოვნური
ინფორმაციის წყაროები.


მოიციქო

2. ინფორმაცია პუნებაში

- როგორ იღებენ ინფორმაციას მცენარეები და ცხოველები?
- როგორ იყენებს ადამიანი ბუნებისგან მიღებულ ინფორმაციას?

ცხოველები, ადამიანის მსგავსად, ინფორმაციას გარემომცველი სამყაროდან იღებენ. ზოგ ცხოველს ყნოსვა, მხედველობა და სმენა ადამიანზე უკეთ აქვს განვითარებული. მაგალითად, მელიები და ძალლები სუნს უფრო მძაფრად და ზუსტად აღიქვამენ, ვიდრე ადამიანები.

დელფინებს და ლამურებს კი იმ ბგერების აღქმა შეუძლიათ, რომლებიც ჩვენ არ გვესმის.





ბუნების ყოველი ნაწილაკი ამა თუ იმ ინფორმაციის წყაროა. მაგალითად, რგოლებით, რომლებსაც კუნძზე ვხედავთ, შეგვიძლია ხის ასაკი დავადგნოთ და ისიც გავიგოთ, როგორი იყო გასული წლები – წვიმიანი თუ გვალვიანი.



ბუნებისგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით ადამიანები მათვის სასარგებლო მოწყობილობებს ქმნიან.



რა შექმნა ადამიანმა
ამ ობიექტებზე დაკვირვების შედეგად?



მცენარეებიც ალიქვამენ და გადასცემენ ინფორმაციას. ისინი ფოთლებს და ლეროებს მზისა და სინთლისკენ ატრიალებენ. შემოდგომაზე კი ფოთლები სცვივათ.



ეს საინტერესოა

„მორცხვი“ მიმოზა

ინდოეთში, მდინარეების ნაპირების გაყოლებით, ხშირად შეგხვდებათ „მორცხვი მიმოზა“. მის რომელიმე ფოთლს წვიმის ერთი წვეთიც რომ შეეხოს, მცენარე წამსვე ყველა ფოთოლს დაკეცავს.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ამ მცენარის „ქცევაში“ ის არის, რომ, როგორც კი ერთი მცენარის ფოთლები დაიკეცება, ეს ინფორმაცია დანარჩენებსაც გადაეცემა და ბარდებში მთელ სიგრძეზე ყველა მცენარე დაკეცავს ფოთლებს.



რატომ აქვთ გვალვიანი ადგილების მკვიდრ მცენარეებს გრძელი ფესვები?

LAYH

ინფორმაციაზე გუშაობა

3. ინფორმაციული პროცესები

- რა მოვლენებს შეესწარით გზაში, სკოლისკენ რომ მოდიოდით?
- სად შეინახეთ მიღებული ინფორმაცია?

ჩვენ მთლიანად ინფორმაციის გარემოცვაში ვიმყოფებით. ადამიანი ინფორმაციას სხვა ადამიანებისგან, სხვადასხვა საგნებისგან და მოვლენებისგან იღებს.

მაგალითად, როდესაც მასწავლებელს უსმენთ, ტელევიზორს უყურებთ ან სადილობისას მეგობრებს ესაუბრებით, თქვენ ინფორმაციას **იღებთ**.



ადამიანებს მიღებული ინფორმაციის შენახვა რომ არ შესძლებოდათ, კაცობრიობა ვერ განვითარდებოდა. სწორედ შენახული ინფორმაციის მეშვეობით ვაწავლობთ წარსულს.

ადამიანი ცდილობს, დაიმახსოვროს მიღებული ინფორმაცია. მაგრამ ერთი ადამიანის მეხსიერებაში შენახული ინფორმაცია სხვებისთვის მიუწვდომელია.

ინფორმაციის სხვა ადმიანებისა თუ მომავალი თაობებისთვის გადასაცემად, საჭიროა მისი შენახვა მატერიალურ **მატარებლებში**.



ინფორმაციის რომელ
მატარებელს იყენებ და
როგორ?



ინფორმაციის მატარებელებს მისი გადაცემისთვისაც იყენებენ.

ინფორმაციის მიღებისა და არსებული ცოდნის გამოყენების შედეგად ადამიანი დასკვნებს აკეთებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას ინფორმაციის დამუშავების უნარი აქვს.

ამგვარად, ჩვენ ინფორმაციას ვიღებთ, ვინახავთ, დავამუშავებთ და გადაცემთ. გარდა ამისა, ინფორმაციაზე მუშაობას უკავშირდება ზოგიერთი სხვა ქმედებაც: მისი მოძიება, კოდირება და დაცვა.

სამახსოვრო

- ინფორმაციის შენახვა
- ინფორმაციის გადაცემა
- ინფორმაციის დამუშავება
- ინფორმაციული პროცესი



ინფორმაციასთან დაკავშირებულ ყველა ქმედებას ინფორმაციული პროცესები ჰქვია.

ინფორმაციული პროცესები მარტო ადამიანებს შორის კი არა, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროშიც მიმდინარეობს.



მოიციქო



→ ყურადღებით
დააკვირდი ნახატს.
რას უშერებიან
ინფორმაციას?



4. ინფორმაციის გადაცემა

- რაში სჭირდება ადამიანს ახალი ცოდნა?
- როგორ გადასცემ სხვებს მიღებულ ინფორმაციას?

თქვენ ყოველდღე მრავალფეროვან ინფორმაციას იღებთ. ამავე დროს მას მეგობრებს, მშობლებს, და-ძმებს გადასცემთ. ინფორმაციის გადაცემა ბუნებაშიც ხდება.

ეს საინტერესოა



ფუტკრების ყოველ ოჯახს თავისი მზვერავი ფუტკრები ჰყავს, რომლებიც ტკბილი ნექტრით სავსე ყვავილებს პოულობენ და მათ ადგილმდებარეობას მუშა-ფუტკრებს ატყობინებენ. ამისთვის ისინი ფრთებს აქნევენ და განსაკუთრებულ სურნელოვან ნივთიერებას გამოყოფენ.




ინფორმაციის გადაცემაში ყოველთვის ორი მხარე მონაწილეობს:

- ინფორმაციის წყარო
- ინფორმაციის მიმღები

მაგალითი



- წყარო – მასწავლებელი
- მიმღები – მოსწავლე



- წყარო – სატელევიზიო ანძა
- მიმღები – ტელევიზორის ანტენა

თუ ერთი ობიექტი მეორე ან მეორეს გან
ინფორმაციას იღებს და ამავე დროს
თვითონაც გადასცემს მას ინფორმა-
ციას, ამ პროცესს ობიექტებს შორის
ინფორმაციის გაცვლას უწოდებენ.


- ინფორმაციის გაცვლა
- ინფორმაციის გადაცემა
- ინფორმაციის გადაცემის საშუალებები
- ინფორმაციის წყარო
- ინფორმაციის მიმღები

სამახსოვრო



ინფორმაციის გადასაცემად გარკვეულ **სა-შუალებებს** იყენებენ. ადამიანს შეუძლია, სიტუაციის შესაბამისად აირჩიოს გადაცე-
მის საშუალება.

მაგალითად, როდესაც გვერდით მდგომი ადამიანისთვის უნდა ინფორმაციის გადა-
ცემა, შეუძლია, თავისი ხმა გამოიყენოს.
მაგრამ შორ მანძილზე გადასაცემად სხვა
საშუალების გამონახვა დასჭირდება.



ინფორმაციის რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის გადასაცემად **მასობრივი**
ინფორმაციის **საშუალებებს** – წიგნებს, უურნალებს, გაზეთებს, რადიოს,
ტელევიზიას, ინტერნეტს იყენებენ.

?

ამ ობიექტებიდან რომელი
შეიძლება გამოვიყენოთ
ინფორმაციის გაცვლისათვის?



მოივიდრე

5. იცორმაციის კოდირება

- რისთვის იყენებენ ადამიანები სხვადასხვა ნიშნებს?
- რატომ არის, რომ თანამედროვე ადამიანს ზოგიერთი უძველესი ჩანაწერის მნიშვნელობა ესმის, ზოგიერთისა კი არა?

ადამიანები უხსოვარი დროიდან ცდილობდნენ, შეენახათ მიღებული ცოდნა და ის სხვებისთვის გადაეცათ. ამისათვის ისინი სხვადასხვა ნიშნებს, სიმბოლოებს, ანუ კოდებს, იყენებდნენ.

კოდების საშუალებით ინფორმაციის წარმოდგენას კოდირება ჰქვია.



კოდებსა და კოდირებას თქვენ მუდმივად აწყდებით. ინფორმაცია, რომელსაც ავტომობილის სიგნალი, შუქნიშნის ფერი თუ სკოლის ზარი გადმოგცემთ, სწორედ კოდირებული ინფორმაციაა.



როდესაც რაღაცას წერთ, თქვენ სწორედ ინფორმაციის კოდირებას ახდენთ – ბგერებს ასოებით ცვლით.


სამახსოვრო

- კოდი
- კოდირება




ზოგჯერ ინფორმაციის გადაცემისას საჭირო ხდება მისი უფრო მოსახერხებელი სახით წარმოდგენა. მაგალითად, ფლოტში ხომალდები ერთ-მანეთისთვის ინფორმაციის გადასაცემად ალმების ანბანს იყენებენ.

ალმების ანბანი



გამოიყენე ალმების ანბანი და ამოიკითხე კოდირებული სიტყვა.

მოიზირე



6. რეპუსი

- რა ინფორმაციაა
კოდირებული თითოეულ
ნახატზე?




რეპუსი კოდირების ერთ-ერთი სახეობაა. მასში ინფორმაცია ნახატის, ასოების და ნიშნების გამოყენებით არის კოდირებული. ამავე დროს რეპუსი გამოცანის სახეობაცაა. მაგრამ, ამოცანისგან განსხვავებით, ის ობიექტის ნიშან-თვისებებზე არ მიგვითითებს. **რეპუსი** ნახატისა და ნიშნების საშუალებით კოდირებული ინფორმაციაა.

რეპუსი რომ გამოიცნოთ ან ახალი შეადგინოთ, რამდენიმე წესი უნდა იცოდეთ:

1. ნახატის წინ დასმული

მძიმეები მიუთითებს,
რომ სიტყვას მარცხენა
მხრიდან ამდენივე ასო
უნდა ჩამოვაცილოთ.



მესერი → სერი

2. ნახატის შემდეგ დასმული

მძიმეები მიუთითებს,
რომ სიტყვას მარჯვენა
მხრიდან ამდენივე ასო
უნდა ჩამოვაცილოთ.



სურათი → სურა

3. სიტყვის შუიდან ასოების მოსაშორებლად მათ ნახატს ზემოდან აწერენ და გადასაზავენ.




მონიტორი → მოტორი


4. ასოების შესაცვლელად
ტოლობის ნიშანს იყენებენ.
მაგალითად, ტოლობა $3=3$
ნიშნავს, რომ სიტყვაში ვ
ასო ც ასოთი შეიცვლება.



5. სიტყვაში ასოების
თანმიმდევრობის
შესაცვლელად ნახატის
ზემოთ წერენ ასო-
ბგერების ნომრებს, მათი
ახალი თანმიმდევრობის
შესაბამისად.



6. გადმობრუნებული
ნახატი მიუთითებს, რომ
სიტყვა მარჯვნიდან
მარცხნივ უნდა
წაიკითხოთ.



მოიციქო

ამოხსენი რებუსი და წაიკითხე ანდაზა. რას ნიშნავს იგი?



ბ



7. ინფორმაციის დამუშავება

- რატომ დაუჯერეს ბავშვებმა ჯირთდანს და წავიდნენ იქით,
სადაც სინათლე ჩანდა?
- როგორ იყენებს ადამიანი თავის ცოდნას?

თქვენ ყოველდღიურად უამრავ ინფორმაციას იღებთ. მიღებული ინფორმაციიდან დასკვნის გამოსატანად კი იმ ცოდნას იყენებთ, რომელიც უკვე გაქვთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასკვნის გამოსატანად გჭირდებათ ინფორმაციის **დამუშავება** თქვენი ცოდნის გამოყენებით. მაგალითად, ადამიანი, რომელიც მიღებს ინფორმაციას, რომ გარეთ ცივა, აკეთებს დასკვნას, თბილად უნდა ჩავიცვაო.



საწყისი ინფორმაციის დამუშავების შემდეგ მიღებული **შედეგი** უკვე **ახალი ინფორმაციაა.**

მაგალითი





საწყისი ინფორმაცია	ცოდნა	დასკვნა
თოვლი მოდის	სიცივისგან ავად გახდომა შეიძლება	ქუჩაში გასვლისას თბილად უნდა ჩავიცვა
საწერ მაგიდაზე მტვერია	მტვერი ჯანმრთელობას ვნებს	მაგიდიდან მტვერი უნდა გადავწმინდო
შუქნიშანზე ნითელი ანთია	ქუჩაზე გადასვლა მხოლოდ მწვანე შუქზე შეიძლება	დავიცდი, სანამ მწვანე აინთება, და ქუჩაზე მერე გადავალ

ამგვარად, ცოდნა ადამიანს იმაში ეხმარება, რომ საწყისი ინფორმაციის დამუშავების შედეგად ახალი ინფორმაცია მიიღოს.

- საწყისი ინფორმაცია
- ინფორმაციის დამუშავება
- შედეგი
- შემსრულებელი

საწყისი ინფორმაცია



ახალი ინფორმაცია

მზარეული კერძს აგემოვნებს. კერძის გემო საწყისი ინფორმაციაა.

შემდეგ მზარეული ფიქრობს (დაამუშავებს) და იღებს ახალ ინფორმაციას, თუ რა აკლია კერძს.

გამოტანილი დასკვნა ახალი ინფორმაციაა.



როცა ხატავთ, ნაწერში დაშვებულ შეცდომებს ასწორებთ ან უცხო ენიდან სიტყვებს თარგმნით, ეს ინფორმაციის დამუშავებაა. ამ შემთხვევაში თქვენ ხართ შემსრულებელი, რომელიც ინფორმაციის დამუშავებას ახდენს.

მარტო ადამიანი როდია შემსრულებელი. ეს შეიძლება ტექნიკურმა მოწყობილობამაც გააკეთოს (მაგალითად, კომპიუტერმა).

1

როგორ არჩევს ნიგიარი საპასუხო სვლას?



?

2

რა მიზნით სინჯავს ექიმი ავადმყოფს?



LAW




კითხვები და დავალებები

1. განსაზღვრეთ, რა მნიშვნელობა აქვს გამონათქვამს: „ინფორმაციის წყარო მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმებია“:
ა) მართალია; ბ) მცდარია.
2. ობიექტის რომელი თვისებები განისაზღვრება მხედველობითი ინფორმაციით?
3. მოსწავლემ თავისი სახელის შემადგენელი ასოები ანბანში მათი რიგითი ნომრებით შეცვალა და შემდეგი ჩანაწერი მიიღო:

12 1 13 1 13 1

რა ერქვა მოსწავლეს? როგორ ვიპოვოთ პასუხი კოდირების ცხრილში ჩაუხედავად?
ა) სალომე
ბ) გიორგი
გ) მანანა
დ) მახარე
4. ჯეიპუნი რადიოში მუსიკას უსმენს.
ამ დროს:
ა) ჯეიპუნი ინფორმაციის წყაროა, მუსიკა – ინფორმაციის მიმღები;
ბ) ჯეიპუნი ინფორმაციის მიმღებია, რადიო – ინფორმაციის წყარო;
გ) რადიო ინფორმაციის წყაროა, მუსიკა – ინფორმაციის მიმღები;
დ) რადიო ინფორმაციის მიმღებია, ჯეიპუნი – ინფორმაციის წყარო.



5. რა შემთხვევაში ხდება ინფორმაციის გაცვლა?
ა) ერთი ადამიანი ლაპარაკობს, მეორე – უსმენს;
ბ) ბავშვი ტელევიზორს უყურებს;
გ) მეგობრები ტელეფონით ლაპარაკობენ;
დ) ბიჭი ხატავს.

6. როდესაც რაიმე საგანს ვწონით, ჩვენ ვახდენთ:

- ა) ინფორმაციის კოდირებას;
- ბ) ინფორმაციის დამუშავებას;
- გ) ინფორმაციის მოძიებას;
- დ) ინფორმაციის შენახვას.

7. მოსწავლე სკოლიდან რომ ბრუნდებოდა, განვიმდა. როგორ უნდა მოიქცეს მოსწავლე?

- ა) თბილად ჩაიცვას;
- ბ) ქოლგა გაშალოს;
- გ) სათვალე გაიკეთოს;
- დ) ნაბიჯს აუჩქაროს.

8. როგორ მოიქცევი, თუ შეამჩნევ, რომ ყვავილის ქოთანში მიწა მშრალია?

- ა) ქოთანს გამოვცვლი;
- ბ) ყვავილს მოვრწყავ;
- გ) ყვავილს სხვაგან გადავრგავ;
- დ) ფანჯარას გავალებ.

9. მეტეორსადგურში ჰაერის ტემპერატურას, ქარის სიჩქარეს და სხვა პარამეტრებს ზომავენ.

ეს არის:

- ა) ინფორმაციის შენახვა;
- ბ) ინფორმაციის კოდირება;
- გ) ინფორმაციის დამუშავება;
- დ) ინფორმაციის შეგროვება.

10. ასელს უნდა, გარკვეული ინფორმაცია გადასცეს მეზობელ ბინაში მცხოვრებ ვაგიფს. რა ხერხის გამოყენება ჯობს ამ შემთხვევაში?

- ა) გაუგზავნოს წერილი ფოსტით;
- ბ) დაურეკოს ტელეფონით;
- გ) დაუკაუნოს კარზე;
- დ) გაუგზავნოს დეპეშა.

LAYH

2

ალგორითმი

1. დაჯგუფება
2. ქმნივანა
თანამდებობების



8. მგრივთა ჯგუფი

8. ობიექტთა ჯგუფი


- როგორ შეიძლება განვსაზღვროთ ობიექტი?
- რა საერთო ნიშნები აქვთ ნაძვსა და ჭადარს?

ყოველი ობიექტი **გარკვეული ნიშნებით** ხასიათდება. სხვადასხვა ობიექტებს შეიძლება საერთო ნიშნები ჰქონდეთ. თუ საერთო ნიშნების მქონე ობიექტებს ერთ **ჯგუფად** გავაერთიანებთ, შეგვიძლია, ამ ჯგუფს სახელიც დავარქვათ.

მაგალითი

სახლი, სკოლა, სასტუმრო შენობათა ჯგუფს მიეკუთნება; პეპელა, ჭიანჭველა და ჭიამაია კი – მწერების ჯგუფს.

ჯგუფის სახელწოდება: შენობები
საერთო ნიშნები: შენობებს აქვს
სართულები, ფანჯრები, კიბეები.
შეგვიძლია, შენობებში შევიდეთ და
გამოვიდეთ.



ჯგუფის სახელწოდება: მწერები
საერთო ნიშნები: მწერებს ექვსი
ფეხი აქვთ, ისინი მრავლდებიან,
იძლევიან მატლებს.



მოიციქა

ჩამოთვალე ობიექტების
საერთო ნიშნები და დაარქვი
ჯგუფს სახელი.



ობიექტის აღნერისას ზოგჯერ მიუთითებენ, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება იგი. მაგალითად, „ბელურა ფრინველია“, „ფინჯანი ჭურჭელია“.

- ობიექტის ნიშნები
- ობიექტთა ჯგუფები
- დაჯგუფება
- ჯგუფის სახელწოდება

ჯგუფი	ფრინველი	ჭურჭელი
ობიექტი		

ერთი და იგივე ობიექტი სხვადასხვა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ. მაგალითად, ფაჰლავა ნამცხვრების ჯგუფსაც ეკუთვნის და ტპბილეულისაც.

ჯგუფში შემავალი ობიექტების საერთო ნიშნების თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის ძალიან მოსახერხებელია ცხრილების გამოყენება. მაგალითისთვის განვიხილოთ ჯგუფი საყოფაცხოვრებო ხელსა-ცყორები.



ამ ჯგუფის ობიექტების საერთო შემადგენლობა და მოქმედება შეგვიძლია შემდეგი ცხრილის სახით წარმოვადგინოთ:

ჯგუფი „საყოფაცხოვრებო ხელსაცყორები“

შემადგენლობა	მოქმედება
სადენები	იმართება ადამიანის მიერ
მართვის ღილაკები	ეხმარება ადამიანს ყოფაცხოვრებაში
დენზე მომუშავე დეტალები	მუშაობს ელექტროდენით

რა აერთიანებს ობიექტებს, რომლებიც წიგნების ჯგუფს მიეკუთვნება? დაასახელე მათი საერთო ნიშნები.




LAW IT

9. ობიექტის განმასხვავებელი ნიშნები

- როგორ განვასხვაოთ ერთმანეთისგან ერთ ჯგუფში გაერთიანებული ობიექტები?
- საერთო და განსხვავებული ნიშნები აქვთ ბელურასა და ყარყაფს?

ობიექტების წარმოსადგენად სავალდებულო როდია მათი ყველა ნიშნის ჩამოთვლა. ამისათვის იყენებენ მათ საერთო და საკუთარ სახელებს.

საერთო სახელი ჯგუფში შემავალ ყველა ობიექტს ეკუთვნის. მაგალითად, „შენობა“, „ფრინველი“, „ინფორმაციის მატრარებელი“ ობიექტთა ჯგუფების საერთო სახელებია. ჯგუფში ობიექტი ცალკე რომ გამოყოფ, მის საკუთარ სახელს ვიყენებთ. მაგალითად, „სკოლა“, „ბელურა“, „ოპტიკური დისკი“ ჩამოთვლილი ჯგუფების ობიექტების საკუთარი სახელებია.



სკოლაში ბავშვების საერთო სახელია „მოსწავლე“, მაგრამ ამასთანავე თო-თოეულ მოსწავლეს თავისი ცალკე, საკუთარი სახელი აქვს.

მოიზიძრა

გაიხსენე მულტფილმების პერსონაჟების საერთო და საკუთარი სახელები.



LAYH

ძალიან ხშირად ობიექტის საკუთარი სახელი მის განმასხვავებელ ნიშნებს უკავშირდება. მაგალითად, ნახატზე გამოსახული ობიექტების საერთო სახელწოდებაა „მაგიდა“, მაგრამ დანიშნულების მიხედვით თითოეულ მათგანს საკუთარი სახელიც აქვს.

სამახსოვრო

- განმასხვავებელი ნიშანი
- საერთო სახელი
- საკუთარი სახელი
- თვისობრივი ნიშანი
- რაოდენობრივი ნიშანი



ჭადრაკის მაგიდა



ჩოგბურთის მაგიდა



საწერი მაგიდა

ერთი ჯგუფის ობიექტების განსასხვავებლად ზოგჯერ თვისობრივ და რაოდენობრივ ნიშნებს იყენებენ.

ნიშნებს, რომელთა გაზომვა ან დათვლა შეიძლება, **რაოდენობრივ ნიშნებს** უწოდებენ. ასეთებია, მაგალითად, ობიექტის ზომები, წონა, ტემპერატურა, **დეტალების რაოდენობა**.

ობიექტის იმ ნიშნებს, რომლებიც არ იზომება, – მაგალითად, ფერს, გემოს, შედგენილობას, მასალას – **თვისობრივი ნიშნები ჰქვია.**

მაგალითი



თვისობრივი ნიშნები


ყვითელი ფერის,
მართკუთხა ფორმის,
მეტალისგან დამზადებული,
სატრანსპორტო საშუალება

სამგზავრო ავტობუსი

რაოდენობრივი ნიშნები

სიგრძე 10 მეტრი,
სიმაღლე 2 მეტრი,
მაქსიმალური სიჩქარე 120 კმ/სთ,
აქვს 4 ბორბალი, 60 დასაჯდომი
ადგილი, 15 ფანჯარა, 3 კარი,
იწონის 10 ტონას.

დაასახელე მოცემული ობიექტების თვისობრივი და რაოდენობრივი ნიშნები.



მოიციქე

LAY IT

10. „ყველა“, „არც ერთი“, „ზოგიერთი“

- რა ნიშნები ახასიათებს ყველა ფრინველს?
- რა ნიშნებით გამოირჩევა ზოგიერთი ფრინველი?
- რა ნიშნები არ ახასიათებს არც ერთ ფრინველს?

როცა ადამიანები ერთი ჯგუფის ობიექტებზე ლაპარაკობენ, ხშირად ამბობენ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: „ყველა“, „არც ერთი“, „ზოგიერთი“. ამ სიტყვებს ინფორმატიკაში კვანტორულ **სიტყვებს** უწოდებენ.



მოიზიდრა !..

ნახატის მიხედვით შეადგინე გამონათქვამები კვანტორული სიტყვების გამოყენებით.



თუ წინადადებში არის სიტყვები „ყველა“ ან „არც ერთი“, ეს ნიშნავს, რომ ნათქვამი ჯგუფის ყველა ობიექტს ეხება.

**ყველა ბავშვს ქუდი ახურავს.
არც ერთ მათგანს ჩანთა არ უჭირავს.**

თუ წინადადებაში გამოყენებულია სიტყვა „ზოგიერთი“, ეს ნიშნავს, რომ ნათქვამი ამ ჯგუფის ობიექტების მხოლოდ ნაწილს ეხება.

**ზოგიერთი ბავშვი თოვლის კაცს აკეთებს.
ზოგიერთი ბავშვი გუნდაობს.**

როდესაც ერთი ჯგუფის ობიექტების საერთო ნიშნებზე ლაპარაკობენ, იყენებენ სიტყვებს „ყველა“ და „არც ერთი“.



სამახსოვრო

ყველა ფრინველს ორი ფეხი აქვს.
რქები არც ერთ ფრინველს არ აქვს.

- ყველა
- ზოგიერთი
- არც ერთი
- კვანტორული სიტყვები



ჯგუფის ობიექტების განმასხვავებელ ნიშნებზე მისათითებლად იყენებენ სიტყვას „ზოგიერთი“.





მაგალითი

ყველა ფიგურა სამკუთხედია.

ზოგიერთი ფიგურა ლურჯი ფერისაა.

არც ერთი ფიგურა არ არის
ოთხკუთხედი.



კვანტორული სიტყვების – „ყველა“, „არც ერთი“ და „ზოგიერთი“ – გამოყენებით მართალი ნათევამი შეიძლება მცდარად გადაიქცეს.

ნახატზე გამოსახული ყველა ფიგურა სამკუთხედია. (მართალია)

ნახატზე გამოსახული არც ერთი ფიგურა სამკუთხედი არ არის. (მცდარია)



რომელი კვანტორული სიტყვების გამოყენება შეიძლება წერტილების მაგივრად?
ზოგიერთი ფიგურა ლურჯია.

... ფიგურა ლურჯია.

... ფიგურა ოთხკუთხედი არ არის.

ყველა ფიგურა ოთხკუთხედია.

- მართალია
- მცდარია
- მართალია
- მცდარია




მოივიდრე

11. კანონზომიერება

- რომელ ერთნაირ მოვლენებს ხედავ ყოველდღიურად?
- საიდან იცი, რომ გაზაფხულზე ხეები აყვავდება?

თქვენ იცით, რომ დღის შემდეგ ლამე დგება, ლამეს კი ისევ დღე ცვლის. ზამთარს გაზაფხული მოსდევს, თავად ზამთარი კი შემოდგომის მერე მოდის. შემოდგომაზე ფოთოლცვენაა, გაზაფხულზე კი ბუნება ცოცხლდება. როგორც ხედავთ, ზოგიერთი ბუნებრივი მოვლენა ერთმანეთს განსაზღვრული წესით ენაცვლება. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, მათ თანმიმდევრობაში კანონზომიერება შეინიშნება.



ციფრების, ფიგურებისა და სიტყვების თანმიმდევრობაშიც შეიძლება გარკვეული კანონზომიერების დანახვა.

მოიზიდე

იპოვე კანონზომიერება
ციფრების განლაგებაში
და გამოიცანი
გამოტოვებული ციფრი.



ზოგჯერ ობიექტების განლაგების კანონზომიერებას ერთი კი არა, რამდენიმე ნიშნით პოულობენ.

თოკზე ფერადი ალმები კიდია. ისინი შემდეგი კანონზომიერებითაა დალაგებული:

- კანონზომიერება
- ანალოგიური კანონზომიერება


ფორმით – სამკუთხედი, მარტკუთხედი, სამკუთხედი, მარტკუთხედი...
ფერით – ლურჯი, ყვითელი, წითელი, ლურჯი, ყვითელი, წითელი...



კანონზომიერია, რომ მომდევნო ალამი ფორმით სამკუთხა იქნება, ფერით კი – ლურჯი.

ზოგჯერ ერთი ჯგუფის ობიექტების გარკვეული წესით დალაგებისთვის სხვა ჯგუფის კანონზომიერებას იყენებენ. ამ შემთხვევაში ორივე ჯგუფის კანონზომიერება ერთმანეთს ემსგავსება. ამ გზით მიღებულ კანონზომიერებას **ანალოგიური კანონზომიერება** ჰქვია.

დავუშვათ, რომ დაგავალეს ფერადი ბუშტების ალმების ანალოგიურად დაკიდება. მაშინ ფერადი ბუშტები ასე განლაგდება:



?

დაფაზე სიტყვები გარკვეული კანონზომიერებით წერია.
შენი აზრით, რომელი სიტყვებია წაშლილი?

- | | |
|----------------|---------------|
| 1. მონიტორი | 7. კლავიატურა |
| 2. ტრაპეცია | 8. |
| 3. ბაქო | 9. სუმგაითი |
| 4. | 10. პრინტერი |
| 5. მარტკუთხედი | 11. წრე |
| 6. განჯა | 12. |

ქადაგათა თანმიმდევრობა

12. ალგორითმი

- ქმედებათა რა თანმიმდევრობაა საჭირო, ჩვეულებრივ, იმისათვის, რომ სკოლაში მოხვიდეთ?
- რა სახით შეიძლება ქმედებათა ამ თანმიმდევრობის გადმოცემა?

თქვენ ყოველდღიურად უამრავი რამის გაკეთება გიხდებათ. მაგალითად, საუზმობთ, სკოლაში მიღიხართ, ამოცანებს ხსნით.




ჰქონდათ 25 კგ ვაშლი. გაყიდეს: I ფლეს – 5 კგ. II ფლეს – 7 კგ. დარჩა – ?

ქმედებათა თანმიმდევრობას, რომელიც გარკვეული მიზნის მისაღწევად გვჭირდება, ალგორითმი ეწოდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ალგორითმი შედგება შესასრულებელი ქმედებების, ანუ **ნაბიჯების**, თანმიმდევრობისაგან.

ალგორითმი, ისევე, როგორც ინფორმაცია, შეგვიძლია, სხვადასხვა ფორმით გადმოვცეთ: სიტყვების, ნიშნების და სერმის სახით.

ნიმუში



ალფაის, რომელიც მანქანას დისტანციურად მართავს, უნდა, რომ ის ბუჯრამდე მიიყვანოს. ამ ამოცანის ალგორითმის ჩანერა სხვადასხვანაირად შეიძლება.


სიტყვებით

დასაწყისი

1. ორი უჯრით მარჯვნივ
2. ერთი უჯრით ქვემოთ
3. ერთი უჯრით მარჯვნივ
4. ორი უჯრით ქვემოთ

დასასრული

სქემით



- ქმედებათა თანმიმდევრობა
- ალგორითმი
- ალგორითმის ნაბიჯი
- სქემა

ნიშნებით

$\rightarrow 2 \downarrow 1 \rightarrow 1 \downarrow 2$

მოიციქე



რომელი ფორმა უფრო შეეფერება ალგორითმის შესრულებას?

უჯრედებიან ფურცელზე ფიგურების დასახატად მოსახერხებელია ფანქრის მოძრაობის ისრებით ჩვენება:

\downarrow	\uparrow	\rightarrow	\leftarrow	\nearrow	\nwarrow	\swarrow	\searrow
ქვემოთ	ზემოთ	მარჯვნივ	მარცხნივ	მარჯვნივ ზემოთ	მარცხნივ ზემოთ	მარცხნივ ქვემოთ	მარჯვნივ ქვემოთ


ასეთ ალგორითმში თითოეული ისარი მოძრაობის განსაზღვრულ მიმართულებას გვიჩვენებს. მაგალითად, ჩანაწერი $\rightarrow 2 \downarrow 1$ ნიშნავს: ორი უჯრით მარჯვნივ, ერთი უჯრით ქვემოთ.



მოიციქე

$\uparrow 2 \rightarrow 1 \nearrow 1 \downarrow 1 \rightarrow 1 \nwarrow 1 \leftarrow 1 \searrow 1 \leftarrow 2$

რომელ ფიგურას მივიღებთ ამ ალგორითმის შესრულებით?



LAY IT

13. წრფივი ალგორითმი

- აღნერეთ ალგორითმი „კარის საკეტის გახსნა“.
- რა მოხდება, თუ ამ ალგორითმში ქმედებათა თანმიმდევრობას შეცვლით?

ადამიანი ყოველდღიურად უამრავ ალგორითმს ასრულებს. ეს ალგორითმები, ძირითადად, რამდენიმე ნაბიჯისგან შედგება და ყოველი ნაბიჯი თითოვჯერ სრულდება. მაგალითად, ალგორითმები – „ჩაცმა“, „ხელ-პირის დაბანა“, „მათემატიკური გამოსახულების მნიშვნელობის გამოანგარიშება“ – თანმიმდევრობით შესასრულებელი ნაბიჯებისგან შედგება.

დასაწყისი

- 1.მოუშვი ონკანი
 - 2.დაისველე ხელები
 - 3.აიღე საპონი
 - 4.გაისაპნე ხელები
 - 5.დადე საპონი ადგილზე
 - 6.ჩამოიბანე ხელ-პირი წყლით
 - 7.დაკეტე ონკანი
- დასასრული




ალგორითმს, რომლის ქმედებები დაწერილი თანმიმდევრობით სრულდება, თანმიმდევრული ანუ წრფივი ალგორითმი ეწოდება.

მოივიძო




მათემატიკური გამოსახულების $(5+7):2 - 4$ გამოანგარიშების ალგორითმი სქემატურად ასე შეიძლება ჩაიწეროს:




გადმოეცი ეს ალგორითმი სიტყვებით.

თუ კუ იმოქმედებს ალგორითმით
 $\uparrow 1 \rightarrow 1 \downarrow 1 \rightarrow 1$, ის ქვიშაზე ასეთ
 ნაკვალევს დატოვებს.

- წრფივი ალგორითმი
- თანმიმდევრული ალგორითმი



?...> როგორ ჩავწეროთ
 ისრებით კუს ამ
 გადაადგილების
 ალგორითმი?



პე		რი	
	რის	ხა	
ავს			ხხ
პე	რქ		აც

ძალიან საინტერესოა ზოგიერთი თავშესაქცევი გა-
 მოცანის ამოხსნის წრფივი ალგორითმის სახით
 გადმოცემა. მაგალითად, თუ კითხვას მონიშნული
 უჯრიდან დავიწყებთ და ალგორითმით

$\uparrow 3 \rightarrow 2 \downarrow 1 \leftarrow 1 \downarrow 2 \rightarrow 2 \uparrow 1 \leftarrow 2$

წავიკითხავთ, მივიღებთ ანდაზას:

პეპერი ხარის რძაც ხნავს.

გაეცანი ამ ორ ალგორითმს. როგორი იქნება მათი შედეგები?

„წითელი კვადრატი“

დასაწყისი

1. ამოიღე ფერადი ფანქრები
 2. აიღე წითელი ფანქარი
 3. დახატე კვადრატი
 4. დადე ფანქარი ადგილზე
- დასასრული

„კვადრატი“

დასაწყისი


1. ამოიღე ფერადი ფანქრები
 2. თუ დღეს კვირის კენტი დღეა, აიღე წითელი ფანქარი და დახატე კვადრატი
 3. თუ დღეს კვირის ლუნი დღეა, აიღე ლურჯი ფანქარი და დახატე კვადრატი
 4. დადე ფანქარი ადგილზე
- დასასრული

?...> შეიცვლება თუ არა შედეგი, თუ ამ ალგორითმებს ხვალ შეასრულებ?

14. განვთოვთა

- რატომ შეიცვალა წინა გაკვეთილზე შესრულებული ალგორითმის – „კვადრატის“ – შედეგი?

ძალიან ხშირად თქვენ შექმნილი სიტუაციის შესაბამისად მოქმედებთ. მაგალითად, თუ გარეთ ცივა, გასვლის წინ თბილად იცვამთ. თუ გშიათ, – ჭამთ. როდესაც გზა, რომლითაც ყოველდღე დადიხართ, გადაკეტილია, გეზს იცვლით. თქვენი საქციელი გარკვეულ **პირობებზეა** დამოკიდებული.




ბავშვებმა დაუჯერეს ჯირთდანს და დევის საცხოვრებელს მიადგნენ, რადგან იფიქრეს, რომ იქ, სადაც ძალლი ყეფდა, მათ საფრთხე ემუქრებოდა.

მოიციქე



?...> თუ ამ გზაჯვარედინზე
მანქანის მძლოლი
მარჯვნივ მოუხვევს,
სახლამდე უფრო
სწრაფად მივა. მაგრამ ის
იძულებულია, მარცხნივ
მოუხვიოს. რა არის ამ
გადაწყვეტილების
მიზეზი?



პირობებს ალგორითმებშიც იყენებენ.
ალგორითმი „ქუჩაზე გადასვლა“ ასეთ
პირობებს ითვალისწინებს:

„თუ შუქნიშანზე მწვანე შუქი ანთია,
გადადი ქუჩაზე, თუ არა და გაჩერდი“.




• სამახსოვრო

- პირობები
- განშტოება
- პირობითი ალგორითმი
- განშტოებული ალგორითმი
- ბლოკ-სქემა

თუ ალგორითმის ნაბიჯების შესრულების თანმიმდევრობა გარკვეულ პი-
რობებზეა დამოკიდებული, ასეთ ალგორითმს **პირობით ან განშტოებულ ალგორითმს** უწოდებენ.

პირობითი ალგორითმის **ბლოკ-სქემის** სახით გადმოცემა უფრო ადვილია,
ვიდრე სიტყვებით. ალგორითმ „ქუჩაზე გადასვლის“ პირობა ბლოკ-სქემის
სახით ასე შეგვიძლია გადმოვცეთ:




ბლოკ-სქემაში ალგორითმის ნაბიჯები გეომეტრიული ფიგურების სახითაა
ნარმოდგენილი. პირობას რომებში ვწერთ. **რომბის** ერთი შესასვლელი და ორი
გამოსასვლელი აქვს. პირობის შემდეგ ალგორითმი ორ განშტოებად იყოფა.
მოძრაობის მიმართულება ისრებითაა ნაჩვენები.

დასაწყისი ან დასასრული

მოქმედება

პირობა



LAY H

უნდა გახსოვდეთ, რომ ერთსა და იმავე მომენტში ალგორითმის მხოლოდ ერთი განშტოება სრულდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ალგორითმის ორი განშტოების მოქმედების ერთდროულად შესრულება შეუძლებელია.




გავეცნოთ პირობითი ალგორითმის მაგალითს.

დასაწყისი

- 1.ჩაიფიქრე რაიმე რიცხვი
- 2.თუ ეს რიცხვი 5-ზე მეტია, გამოაკელი 4. თუ არ არის მეტი,
- 3.მაშინ მიუმატე 10
- 4.დაასახელე მიღებული რიცხვი

დასასრული

ეს ალგორითმი ბლოკ-სქემის სახით ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:



მოივიდრე



რა შედეგს მიიღებ, თუ ჩაფიქრებული რიცხვი იქნება 3; 5; 20?

15. მიზანებობილი გზის არჩევა

- რომელი გზით უნდა წავიდეს ალფაი, სახლში რომ უფრო მაღლე მივიდეს?
- პურის ყიდვა რომ დაავალონ, რომელი გზა უნდა აირჩიოს?



ცხადია, რომ უმოკლესი გზა სახლამდე არის $1 \rightarrow 4$. მაგრამ, მიზნის შესაბამისად, ალპაის სხვადასხვა გზის არჩევა შეუძლია. მაგალითად, თუ წამლის ყიდვა დასჭირდება, ის $1 \rightarrow 3 \rightarrow 4$ გზას აირჩევს. როგორც ხედავთ, ეს უფრო გრძელი გზაა, ვიდრე $1 \rightarrow 4$. მაგრამ ალპაის ეს გზა ურჩევნია, რადგან წამალი უნდა იყიდოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უმოკლესი გზა ყოველთვის **მიზანშეწონილი** არ არის.

• ! მოივიძე

თუ ასოებიან კვადრატში პირველი მიმართულებით წახვალ, მიიღებ სიტყვას „ტირიფი“, მეორით კი – სიტყვას „ტაქსი“.

ა	ტ	ი	რ
რ	ა	ქ	ი
ი	ქ	ს	ფ
ო	ქ	ი	რ

1

2

? ...

რა მიმართულებთ უნდა წახვიდე, რომ გოგოს და ბიჭის სახელები მიიღო?




- უმოკლესი გზა
- მიზანშეწონილი გზა

განვიხილოთ სხვა მაგალითი. ბაჭიას უნდა, რომ სტაფილომდე მიაღწიოს, მაგრამ გზაზე საფრთხე ემუქრება. რომელი გზა უნდა აირჩიოს ბაჭიამ, რომ მგელსაც გადაურჩეს და მონადირესაც?



ალგორითმი
„როგორ მივიდე
სტაფილომდე“
ბლოკ-სქემის
სახით ასე
შეგვიძლია
გადმოვცეთ:



LAYH

16. განეორიებადი ქმედებები

- აუზი 20 ლ წყალს იტევს. რა ქმედებები უნდა გავიმეოროთ მის გასავსებად?



შეგვიძლია, შევადგინოთ
ალგორითმი „აუზის ავსება“.

- 1.აიღე ვედრო.
- 2.მიდი ჭასთან.
- 3.აავსე ვედრო წყლით.
- 4.მიდი აუზთან.
- 5.ჩაცალე ვედრო აუზში.
- 6.მიდი ჭასთან.
- 7.აავსე ვედრო წყლით.
- 8.მიდი აუზთან.
- 9.ჩაცალე ვედრო აუზში.
- 10....

როგორც ხედავთ, ამ ალგორითმში მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაბიჯები რამდენჯერმე მეორდება.

თუ გამეორება ბევრჯერ მოგვიხდა, ძალიან გრძელი ალგორითმი გამოგვივა. ალგორითმის მოკლედ ჩასაწერად ვიყენებთ ციკლებს.

ალგორითმში განმეორებადი ნაბიჯების თანმიმდევრობას ციკლი ჰქვია. ალგორითმს, რომელიც ციკლს შეიცავს, ციკლური ალგორითმი ეწოდება.

ყოველ ალგორითმს უნდა ჰქონდეს დასასრული. მაგრამ რამდენჯერ უნდა განმეორდეს მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაბიჯები ალგორითმში „აუზის ავსება“? ალბათ, მანამდე, სანამ აუზი წყლით პირამდე არ აივსება.



- ციკლი
- ციკლური ალგორითმი
- განმეორებადი ქმედებების თანმიმდევრობა

დასაწყისი

1. აიღე ვედრო
2. აავსე ვედრო წყლით
3. მიღი აუზთან
4. ჩაცალე ვედრო აუზში
5. თუ აუზი პირამდე სავსეა, გადადი შემდეგ ნაბიჯზე, თუ არა და – მე-2 ნაბიჯზე.
6. დადგი ვედრო და დაისვენე


დასასრული

გავეცნოთ შემდეგ ალგორითმს:

დასაწყისი

1. ჩაიფიქრე რიცხვი
2. შეამცირე 1-ით
3. თუ რიცხვი 0-ს არ გაუტოლდა, გადადი მე-2 ნაბიჯზე, ნინაალმდეგ შემთხვევაში – მომდევნო ნაბიჯზე
4. დაასახელე მიღებული რიცხვი


დასასრული



მოიფიქრე



რა რიცხვი მიიღება ალგორითმის შესრულების შედეგად?
შეიძლება თუ არა სხვა შედეგის მიღება?
რამდენჯერ განმეორდება მე-2 ნაბიჯი?



LAY IT



კითხვები და დავალებები

1. დასახელე ჯგუფ „თევზების“ საერთო ნიშნები.

2. რომელი ნიშნებია საერთო „მხატვრების“ ჯგუფისთვის ?

ა) ადამიანია ბ) აქვს ფუნჯი გ) ხატავს სურათებს 4) წვერებიანია

3. უპოვეთ განმასხვავებელი ნიშანი ჯგუფ „მფრინავებში“ შემავალ თვითმფრინავს.

ა) აქვს ფრთები და დაფრინავს ბ) აქვს ძრავა და დაფრინავს

გ) აქვს ფრთები და ძრავა და დაფრინავს დ) აქვს ფრთები და კუდი.

4. იპოვეთ მცდარი გამონათქვამი.

ა) ზოგი წიგნი ხელისგულზე ეტევა.

ბ) ყველა სახლი საცხოვრებლადაა საჭირო.

გ) არც ერთი ხილი მიწაზე არ იზრდება.

დ) ზოგიერთ ფრინველს ფრენა არ შეუძლია.

5. რომელი ალგორითმის დახმარებით


შეიძლება მოცემული ფიგურის დახატვა?

ა) $\uparrow 1 \rightarrow 1 \rightarrow 1 \leftarrow 2$

ბ) $\uparrow 1 \rightarrow 1 \rightarrow 1 \downarrow 2$

ვ) $\uparrow 1 \rightarrow 1 \uparrow 1 \searrow 1$


გ) $\uparrow 1 \rightarrow 1 \uparrow 1 \swarrow 1$



6. შეასრულე ალგორითმი წერტილების ნაცვლად შემდეგი რიცხვების ჩასმით:


ა) 14 და 16; ბ) 14 და 10.

შეადარე ერთმანეთს მიღებული შედეგები.



LAYH

7. რომელი ფიგურა უნდა ეხატოს ცარიელ უჯრაში?





- ა) ბ) გ) დ)

8. დაფანტული მძივები ძაფზე უნდა ააგო.

გაეცანი ალგორითმს.

რამდენჯერ დაგჭირდება 1-ლი ნაბიჯის გამეორება?

- ა) 4
ბ) 1
გ) 7
დ) 0



9. რა ხერხებით შეიძლება ალგორითმის წარმოდგენა?

10. ობიექტის რაოდენობრივი ნიშანი არ არის:

- ა) ფეხების რაოდენობა
ბ) მასალა
გ) წონა
დ) დასაჯდომის სიმაღლე



პოვინული

1. ეხედახები პოვინულერზე
2. გრაფიკული რედაქტორი
3. ტექსტური რედაქტორი

3



ქადაგები კომპიუტერზე

17. კომპიუტერი და ინფორმაცია

- რა ინსტრუმენტები და მანქანები გამოიგონა ადამიანმა თავისი შრომის შესამსუბუქებლად?
- რომელი გამომთვლელი მანქანები იცით?

მრავალი ასწლეულის განმავლობაში ადამიანი თავისი შრომის შესამსუბუქებლად ათასგვარ ინსტრუმენტს – შრომის იარაღსა და მოწყობილობებს – ქმნიდა.

ამ ინსტრუმენტებს შორისაა გამომთვლელი მოწყობილობები. მათგან ყველაზე სრულყოფილია **კომპიუტერი**.



კომპიუტერს შეუძლია დაამუშაოს მიწოდებული ინფორმაცია, შეინახოს მეხსიერებაში მისი შედეგი ან გამოიტანოს იგი. ამიტომაც უწოდებენ კომპიუტერს ინფორმაციის დამამუშავებელ მოწყობილობას.

დამუშავების მიზნით ინფორმაცია კომპიუტერში უნდა შევიყვანოთ. ამისათვის კომპიუტერს **შემყვანი მოწყობილობები** გააჩნია.

შემყვანი მოწყობილობები



კლავიატურა



მიკროფონი



სკანერი



ვებკამერა

კომპიუტერში ინფორმაცია დამმახსოვრებელ მოწყობილობებში ინახება.

- კომპიუტერი
- დამმახსოვრებელი მოწყობილობები
- შემყვანი მოწყობილობები
- გამომყვანი მოწყობილობები

დამმახსოვრებელი მოწყობილობები



მყარი დისკი



RAM



ფლეშ-ბარათი




ოპტიკური დისკი

კომპიუტერში ინფორმაციის გამოტანა შეიძლება მონიტორზე, პრინტერით ან ხმა-მაღლა მოლაპარაკებით (დინამიკებით). მათ გამომყვან მოწყობილობებს უწოდებენ.


გამომყვანი მოწყობილობები



მონიტორი



პრინტერი




დინამიკები

ამგვარად, კომპიუტერი არის მოწყობილობა ინფორმაციის შეყვანა-გამოყვანის, შენახვისა და დამუშავებისათვის.




ადმიანის რომელ შეგრძნების ორგანოს მოგაგონებს თავისი დანიშნულებით კომპიუტერის ესა თუ ის მოწყობილობა?



18. სამუშაო მაგიდა

- გაქვს საკუთარი სამუშაო მაგიდა?
- რა გინევია მაგიდაზე მუშაობის დროს?

კომპიუტერი გარევეული პროგრამების საფუძველზე მუშაობს. კომპიუტერის მთავარ პროგრამას ოპერაციული სისტემა ჰქვია. ოპერაციული სისტემა მართავს კომპიუტერის ყველა დანარჩენი პროგრამისა და მოწყობილობის მუშაობას. დღეისათვის ყველაზე გავრცელებული ოპერაციული სისტემაა Windows.



როგორ ითარგმნება
ინგლისური ენიდან
სიტყვა „Windows“?

მოივიძო

!..
ახსენი ამ ნიშნების მნიშვნელობა.
სად გინახავს ისინი?



ოპერაციული სისტემის გარდა, კომპიუტერში კიდევ ბევრი სხვა პროგრამაა. თითოეულ მათგანს თავისი ნიშანი აქვს. პროგრამა რომ ავამოქმედოთ, მის ნიშანზე ორჯერ უნდა დავაწკაპუნოთ.




- სამუშაო მაგიდა
- ნიშანი
- მთავარი მენიუ
- ფანჯარა
- ღილაკი Start

თუ პროგრამის ნიშანი სამუშაო მაგიდაზე არ არის, მის გასახსნელად შემდეგი ალგორითმი უნდა შევასრულოთ:


① დააწყაპუნე სამუშაო მაგიდის ღილაკზე **START**.
გაიხსნება ჩამონათვალი - მთავარი მენიუ.

② მიიყვანე თაგვის მაჩვენებელი ღილაკთან **All Programs**. ამჯერად გახსნილ ჩამონათვალში ვნახავთ ყველა იმ პროგრამის დასახელებას, რომელიც კომპიუტერში არსებობს.

③ მიიყვანე მაჩვენებელი საჭირო პროგრამის დასახელებასთან და ზედ დააწყაპუნე.




ყველა პროგრამა ფანჯარაში იხსნება. ფანჯრები სხვადასხვანაირია, მაგრამ მათ საერთო ელემენტებიც აქვთ: სათაურის ზოლი, მენიუს ზოლი, ინსტრუმენტების პანელი, ფანჯრის დახურვის ღილაკი.



ფანჯარა სამუშაო მაგიდის ობიექტია. მასზე, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ობიექტზე, გარკვეული ქმედებების ჩატარება შეიძლება.


სამუშაო მაგიდაზე ფანჯრის გადაადგილების ალგორითმი

- ① მიიყვანე თაგვის მაჩვენებელი სათაურის ზოლთან.
- ② გადაადგილე თაგვი მარცხენა ღილაკიდან თითის აუდებლად.
- ③ დააყენე ფანჯარა სასურველ ადგილას და მოაშორე თითი ღილაკს.



ფანჯრის ზომის შეცვლის ალგორითმი

- ① მიიყვანე თაგვის მაჩვენებელი ფანჯრის კიდესთან. იგი ორმხრივ მიმართული ისრის სახეს მიიღებს (↔).
- ② გადაადგილე თაგვი მარცხენა ღილაკიდან თითის აუდებლად. ამ დროს ფანჯრის ზომები შეიცვლება.
- ③ დააყენე ფანჯარა სასურველ ზომაზე და მოაშორე თითი ღილაკს.



19. საქალალდე


- რისთვის ვიყენებთ თაროებს და კარადებს?
- რა არის საქალალდე და რისი შენახვა შეგვიძლია მასში?



ყოველ თქვენგანს უთუოდ აქვს ერთი ან რამდენიმე ფოტოალბომი. სკოლისა და ოჯახის ფოტოებს, ალბათ, ცალ-ცალკე ალბომებში ინახავთ. ასე უფრო იოლად იპოვით საჭირო ფოტოსურათს.

ინფორმაცია კომპიუტერშიც საგულდაგულოდ, მოწესრიგებულად უნდა იყოს შენახული. ამისათვის **საქალალდებს** იყენებენ.

ყოველ საქალალდეს თავისი სახელი და ნიშანი აქვს. საქალალდის სახელი მისი ნიშნის ქვეშ იწერება.



ჩემი საქალალდე



ზოგიერთ საქალალდეს სპეციალური ნიშნები აქვს.



ჩემი კომპიუტერი




ჩემი დოკუმენტები



კალათა

საქალალდებს სხვადასხვანაირად შეიძლება მოვექცეთ:



სამუშაო მაგიდაზე ახალი საქალალდის შექმნის ალგორითმი

- ① თაგვის მარჯვენა ღილაკით სამუშაო მაგიდის თავისუფალ ადგილზე დააწვაპუნე.
- ② გახსნილ მენიუში მოძებნე პუნქტი **New** და თაგვის მაჩვენებელი მასთან მიიყვანე.
- ③ ახლად გახსნილ მენიუში მაჩვენებლით მოძებნე პუნქტი **Folder** და მარცხენა ღილაკზე დააწვაპუნე.
სამუშაო მაგიდაზე ახალი საქალალდე **New Folder** გაჩნდება.




- ④ დარწმუნდი, რომ საქალალდის სახელი მონიშნულია და შეიყვანე კლავიატურით მისი ახალი სახელი.
- ⑤ დაჭირე კლავიშს <Enter>.
- .



საქალალდის **გასახსნელად** თაგვის მაჩვენებელი მასთან უნდა მივიყვანოთ და მარცხენა ღილაკზე ორჯერ დავაწვაპუნოთ.

თითოეული საქალალდე, ისევე როგორც პროგრამა, თავის ფანჯარაში იხსნება. თუ საქალალდე დოკუმენტებს შეიცავს, ისინი ფანჯარაში გამოჩნდება.

საქალალდის ფანჯარა




საქალალდეში შენახული
დოკუმენტები

••▽ სამახსოვრო

- საქალალდე
- საქალალდის ფანჯარა
- კალათა

სამუშაო მაგიდაზე გახსენით საქალალდე **My Documents**. როგორც ხედავთ, ის სხვა საქალალდეებს შეიცავს.




მაშასადამე, საქალალდეში სხვა საქალალდეების შენახვა შეიძლება.

სამუშაო მაგიდაზე საქალალდის გადასაადგილებლად შემდეგი ალგორითმის შესრულებაა საჭირო:

სამუშაო მაგიდაზე საქალალდის გადაადგილების ალგორითმი

- ① მიიყვანე თაგვის მაჩვენებელი საქალალდის ნიშანთან.
- ② თაგვის მარცხენა ღილაკიდან თითი არ აიღო.
- ③ გადაადგილე საქალალდე საჭირო მიმართულებით.
- ④ მოაშორე თითი ღილაკს.



გრაფიკული რედაქტორი

20. პროგრამა PAINT


- რა სახის ინფორმაციას იღებს ადამიანი?
- რა სახის ინფორმაციაზე შეუძლია მუშაობა კომპიუტერს?

ადამიანი მისთვის აუცილებელი ინფორმაციის უდიდეს ნაწილს მხედველობის საშუალებით იღებს. ამიტომ ძალიან მოსახერხებელია ინფორმაციის გრაფიკული ფორმით წარმოდგენა.

გრაფიკულ ინფორმაციაზე სამუშაოდ კომპიუტერში სპეციალური პროგრამები – **გრაფიკული რედაქტორები** – გამოიყენება. ერთ-ერთი მათგანია პროგრამა **Paint**.



ამ პროგრამის გასახსნელად სამუშაო მაგიდაზე ორჯერ უნდა დააწკაპუნოთ მის ნიშანზე. გაიხსნება პროგრამის ფანჯარა.



როდესაც ქაღალდზე ხატავთ, სხვადასხვა სახატავი ინსტრუმენტით სარგებლობთ. პროგრამა Paint-ში ნახატის შესაქმნელადაც შესაბამისი ინსტრუმენტებია გათვალისწინებული.

საჭირო ინსტრუმენტს ინსტრუმენტების პანელზე არჩევენ, სასურველ ფერს კი – ფერთა პალიტრაზე (პალიტრაზე).

კომპიუტერში დაახატული სურათის ამოსაბეჭდად პრინტერს იყენებენ. ფურცლის ზომას ნახატის ზომის შესაბამისად ირჩევენ.

ამიღიერე



რაზე ხატავენ მხატვრები თავიანთ სურათებს? რა შეგიძლია თქვა მათი ზომების შესახებ?

ალბომის ფურცელს, რომელზეც სახვითი ხელოვნების გაკვეთილებზე ხატავთ, **A4** ფორმატის ფურცელს უწოდებენ.

LAY

ალბომში ფურცლები, ჩვეულებრივ, ჰორიზონტალურადაა განლაგებული, წიგნში კი, როგორც წესი, – ვერტიკალურად. ამიტომ ნებისმიერი ფურცლის ორიენტაცია შეგვიძლია, განვსაზღვროთ, როგორც **ალბომისებრი** და **წიგნისებრი**.

••▽ სამახსოვრი

- გრაფიკული რედაქტორი
- სამუშაო ველი
- ინსტრუმენტების პანელი
- ალბომისმებრი ორიენტაცია
- წიგნისებრი ორიენტაცია

ალბომისებრი (LANDSCAPE) წიგნისებრი (PORTRAIT)




•! დაცვალება

განსაზღვრე
A4 ფორმატის
ფურცლის
სიგრძე და
სიგანე.



პროგრამა Paint-ში ფურცლის ზომისა და ნახატის განლაგების მიმართულების დასადგენად აუცილებელია შემდეგი ალგორითმის შესრულება:

- ① მენიუს ზოლიდან გახსენი მენიუ **File**.
- ② აირჩიე პუნქტი **Page Setup**. გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა.
- ③ განსაზღვრე ფურცლის ზომა ჩამონათვალში **Size** (ზომა), რომელსაც იპოვი ნაწილში **Paper** (ქაღალდი).
- ④ ფურცლის მიმართულება განსაზღვრე ნაწილში **Orientation** (ორიენტაცია).
- ⑤ დააწერ ლილაკზე **OK**.



21. პალიტრა


- რომელი სალებავებით შეიძლება გაზაფხულის გამოსახვა?
ნელინადის სხვა დროების?

ის, რომ ადამიანი სამყაროს ფერებში ხედავს, მის ცხოვრებას ნათელსა და მრავალფეროვანს ხდის და, გარდა ამისა, საშუალებას აძლევს, ერთი ობიექტი მეორისგან განასხვაოს.



ყველა გრაფიკული რედაქტორი იძლევა ფერადი ნახატების შექმნის შესაძლებლობას. ამისათვის **პალიტრას** იყენებენ. გრაფიკულ რედაქტორ **Paint**-ში პალიტრა პროგრამის ფანჯრის ქვედა ნაწილშია მოთავსებული.

ხატვის დაწყებამდე აუცილებელია შესაბამისი ინსტრუმენტისა და **ძირითადი ფერის** შერჩევა. ძირითადი ფერის გარდა, პალიტრაში ნახატის **ფონის** ფერის არჩევაც შეიძლება. ძირითადი ფერის ასარჩევად თაგვის მაჩვენებელი პალიტრის შესაბამის ფერზე უნდა დავაყენოთ და მარცხენა ღილაკზე დავაწეროთ. ნახატის ფონის ფერის ასარჩევად თაგვის მარჯვენა ღილაკი უნდა გამოვიყენოთ.




რამდენი ფერია პროგრამა Paint-ის პალიტრაში? როგორ ფიქრობ, საკმარისია თუ არა ეს ფერები კარგი ნახატის შესაქმნელად?

პალიტრაში შეიძლება არ აღმოჩნდეს სასურველი ფერი, ან თქვენ ის ფერი კი არ გინდოდეთ, რომელიც პალიტრაშია, არამედ ცოტა სხვანაირი ელფერის მქონე. მაშინ როგორ უნდა მოიცეთ? მოცემული ალგორითმის შესრულებით შეგიძლიათ, შეცვალოთ ფერები პალიტრაში.

- ① შეარჩიე პალიტრაში სასურველი ფერი და ორჯერ დააწვაპუნე მასზე თაგვის მარცხენა ღილაკით. გაიხსნება ფანჯარა **Edit Colors**.



- ② ახალი ფერის დასაყენებლად დააწვაპუნე ღილაკზე **Define Custom Colors**. ფანჯარა **Edit Colors** გაფართოვდება.



- ③ ფანჯარის მარჯვენა ნაწილში არსებული შავი სამკუთხედის გადაადგილებით შეარჩიე სასურველი ელფერი.
- ④ დააწვაპუნე ღილაკზე **OK**.

- პალიტრა
- ძირითადი ფერი
- ფონის ფერი
- ელფერი

პალიტრაზე არჩეული ფერი თქვენთვის
სასურველი ელფერით შეიცვლება.

?..> მწვანე ფერის რამდენი ელფერია ამ ნახატში გამოყენებული?



ეს საინტერესოა

ადამიანის თვალს რუხი
ფერის 500 ელფერის
გარჩევა შეუძლია.



აოიდიდრე

?..> როგორ ღებულობს მხატვარი ახალ-ახალ ფერებს?




22. მუშაობა ნახატის ფრაგმენტზე


- როგორ გადავიტანოთ ფურცლის კიდეზე მოთავსებული ნახატი ცენტრში?

როცა ფურცელზე ხატავთ, ხშირად გიხდებათ ნახატის რომელიმე ნაწილის წაშლა და თავიდან დახატვა.

მოზაიკის ან აპლიკაციის შექმნისას კი მის ერთნაირ ნაწილებს ამრავლებთ და ქაღალდზე აწებებთ.




ამას გრაფიკულ რედაქტორშიც მოახერხებთ. ანუ გრაფიკულ რედაქტორში მარტივად შეიძლება ნახატის ნაწილის – ფრაგმენტის გადაადგილება, გამრავლება ან წაშლა. ამისათვის **მონიშვნის ინსტრუმენტებს** იყენებენ.



ნახატის ფრაგმენტის მონიშვნის ალგორითმი

- გახსენი პროგრამა Paint.
- დახატე რამე შენი სურვილისამებრ.
- აირჩიე ინსტრუმენტი
- მიიყვანე თაგვის მაჩვენებელი
მოსანიშნი ფრაგმენტის ზედა კუთხეში.
- მარცხენა ღილაკიდან ხელის აუღებლად
ამოძრავე თაგვი მანამდე, სანამ
სასურველი ფრაგმენტი ჩარჩოში
ჩასმული არ აღმოჩნდება.
- მოაშორე თითო მარცხენა ღილაკს.






- ნახატის ფრაგმენტი
- მონიშვნის ინსტრუმენტი
- ფრაგმენტის მონიშვნა



ნახატის ფრაგმენტის გადაადგილების ალგორითმი

- ① აირჩიე მონიშვნის ინსტრუმენტი .
- ② მონიშვნე ნახატის სასურველი ფრაგმენტი.
- ③ მიიყვანე თაგვის მაჩვენებელი ნახატის მონიშნულ ფრაგმენტთან.
- ④ დააჭირე თითო თაგვის მარცხენა ღილაკს და ხელის აულებლად გადაადგილე ფრაგმენტი სასურველ ადგილას.
- ⑤ მოაშორე თითო მარცხენა ღილაკს.



ნახატის ფრაგმენტის გამრავლების ალგორითმი

- ① აირჩიე გამრავლების ინსტრუმენტი .
- ② მონიშვნე ნახატის სასურველი ფრაგმენტი.
- ③ მენიუში **Edit** აირჩიე პუნქტი **Copy**.
- ④ მენიუში **Edit** აირჩიე პუნქტი **Paste**.
სამუშაო ველის მარცხენა ქვედა კუთხეში გაჩნდება მონიშნული ფრაგმენტის ასლი.
- ⑤ გადაადგილე მონიშნული ფრამენტი სასურველ ადგილას.
- ⑥ მოაშორე თითო მარცხენა ღილაკს.




LAYH

ზოგჯერ ალგორითმის მე-3 და მე-4 ნაბიჯები რამდენჯერმე სრულდება. ამ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელია, გამოიყენოთ კლავიში <Ctrl>. ამისათვის <Ctrl> კლავიშიდან თითის აუღებლად გადაადგილეთ ნახატის მონიშნული ფრაგმენტი.

- ① მონიშვნის ინსტრუმენტის  საშუალებით მონიშნე ნახატის ის ფრაგმენტი, რომლის გამრავლებაც გჭირდება.
- ② დააჭირე თითი კლავიშს <Ctrl>.
- ③ თავვის ნარცხენა ღილაკიდან თითის აუღებლად გაამრავლე საჭირო რაოდენობის ფრაგმენტი.
- ④ მოაშორე თითი კლავიშს <Ctrl>.

ნახატის ფრაგმენტის წაშლის ალგორითმი



- ① აირჩიე მონიშვნის ინსტრუმენტი .
- ② მონიშნე ნახატის სასურველი ფრაგმენტი (მაგალითად, კატა).
- ③ კლავიატურაზე დააჭირე თითი კლავიშს <Delete>.



სხავადასხვა ფრაგმენტის გამრავლებით საინტერესო ნახატებისა და მოზაიკების შექმნა შეიძლება.

...! მოიფიქრე

?> რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით არის შექმნილი მოცემული ნახატები?



LAY

23. ნახატის შენახვა კომპიუტერში

- რატომ ხატავთ, ჩვეულებრივ, ალბომში და არა ფალ-ფალკა ფურცლებზე?
- სად ინახება კომპიუტერში ინფორმაცია?

კომპიუტერის გამორთვისას ინფორმაცია, რომელიც ეკრანზე იყო გამოტანილი, ქრება. მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ ეს ინფორმაცია შეიძლება ისევ დაგჭირდეთ, მაგალითად, თქვენი ნახატების მეგობრებისთვის გასაგზავნად ან მათში ცვლილებების შესატანად. ამიტომ კომპიუტერის გამორთვამდე აუცილებელია ნახატების მის მეხსიერებაში შენახვა.




ნახატის კომპიუტერში შენახვის ალგორითმი

- ① გახსენი პროგრამა **Paint**.
- ② შექმენი რაიმე ნახატი.
- ③ გახსენი მენიუ **File**.
- ④ გახსნილ ფანჯარაში აირჩიე პუნქტი **Save As**. გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა.




⑤ შექმენი ამ ფანჯარაში ახალი საქაღალდე და დაარქვი მას სახელი.



⑥ გახსენი საქაღალდე.

⑦ იმისათვის, რომ ნახატს სახელი დაარქვა, სტრიქონში **File name** შეიყვანე შესაფერისი სახელწოდება (მაგალითად, ყვავილი).



⑧ დააწერ და დააკავშირდე **Save**.

შეგიძლიათ, შეცვალოთ ნახატი და ისევ იმავე სახელით შეინახოთ. ამისათვის მენიუში **File** აირჩიეთ პუნქტი **Save**.

შენახული ნახატის გახსნის ალგორითმი

① გახსენი მენიუ **File**.

② ჩამოშლილ სიაში აირჩიე პუნქტი **Open**.
გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა.



③ გახსენი შენი საქაღალდე.

④ მოძებნე ფანჯარაში ნიშანი, რომელსაც
შენი ნახატის სახელი ჰქვია, და მონიშნე.

⑤ დააწერ და დააკავშირდე **Open**.

ნახატი გაიხსნება გრაფიკული
რედაქტორის სამუშაო ველზე.

••• **მოივიდე**
?...> რა ნახატია მოთავსებული შენი კომპიუტერის სამუშაო მაგიდაზე?
ხომ არ გინდა მისი სხვა ნახატით შეცვლა?


შეგიძლია, შექმნილი ნახატი კომპიუტერის სამუშაო მაგიდაზე მოათავსო.



- ნახატის შენახვა
- მენიუ Help

სამუშაო მაგიდაზე ნახატის გადმოტანის ალგორითმი

- ① გრაფიკულ რედაქტორ **Paint**-ში გახსენი შენთვის სასურველი ნახატი.
- ② გახსენი მენიუ **File**.
- ③ ჩამოშლილი სიიდან აირჩიე **Set As Background (Centered)**



ამ ალგორითმის დასრულების შემდეგ ნახატი, რომელიც სამუშაო მაგიდაზე იყო, შენი ნახატით შეიცვლება.



პროგრამაში მუშაობის დროს შეიძლება გარკვეულ სირთულეებსაც წააწყდეთ. ამ შემთხვევაში უნდა ისარგებლოთ დახმარებით, რომელიც პროგრამების უმრავლესობას გააჩნია. მისგან შეძლებთ საჭირო თემაზე **ინფორმაციული ცნობების** მიღებას. ამისათვის უნდა გახსნათ მენიუ **Help** ან დააჭიროთ კლავიშს **F1**. გახსნილ ფანჯარაში უნდა აირჩიოთ სასურველი თემა ან შეიყვანოთ საკვანძო სიტყვა.

LAW



საკონტროლო კითხვები

- კომპიუტერის რომელ ნაწილშია მოთავსებული პროცესორი და დამძახსოვრებელი მოწყობილობები?
 - ა) მონიტორზე
 - ბ) სისტემურ ბლოკში
 - გ) კლავიატურაზე
 - დ) თაგვის მოწყობილობაში.
- ამ მტკიცებათაგან რომელია მცდარი?

კომპიუტერულ კლასში:

 - ა) შეიძლება სირბილი
 - ბ) შეიძლება კომპიუტერზე მუშაობა
 - გ) არ შეიძლება მონიტორთან
 - დ) შეიძლება სველი ხელებით მუშაობა.
 - ახლოს დაჯდომა
- რომელ ღილაკზე უნდა დავაწკაპუნოთ სამუშაო მაგიდაზე, რომ კომპიუტერში არსებულ პროგრამებს გავეცნოთ?
 - ა)
 - ბ)
 - გ)
 - დ)
- სამუშაო მაგიდაზე ახალი საქალალდის შესაქმნელად საჭიროა:
 - ა) დავაწკაპუნოთ თაგვის მარცხენა ღილაკზე
 - ბ) დავაწკაპუნოთ ღილაკზე START
 - გ) დავაწკაპუნოთ თაგვის მარჯვენა ღილაკზე
 - დ) გავხსნათ საქალალდე My Documents.
- პროგრამის ფანჯრის ნაწილი არ არის:
 - ა) მენიუს ზოლი
 - ბ) თაგვის მაჩვენებელი
 - გ) სათაურის ზოლი
 - დ) ღილაკი დაბურები.
- რომელ ნიშანზე უნდა დააწკაპუნოთ ორჯერ, რომ დაიწყოთ კომპიუტერში ხატვა?
 - ა)
 - ბ)
 - გ)
 - დ)
- ამ სიტყვებიდან რომელია გამოტოვებული წინადადებაში?

ნახატის ფრაგმენტის გამრავლებამდე საჭიროა მისი:

 - ა) გადიდება
 - ბ) გაფერადება
 - გ) მონიშვნა
 - დ) დაპატარავება.
- რომელი ბრძანების შესრულებაა საჭირო კომპიუტერში ნახატის შენახვისათვის?
 - ა) File ⇔ Open
 - ბ) File ⇔ Save as
 - გ) File ⇔ New
 - დ) File ⇔ Page Setup.
- პროგრამა Paint-ში ძირითადი ფერის სასურველი ელფერის მისალებად უნდა ავირჩიოთ ძირითადი ფერი, შემდეგ კი:
 - ა) დავაწკაპუნოთ მასზე თაგვის მარცხენა ღილაკით
 - ბ) დავაწკაპუნოთ მასზე თაგვის მარჯვენა ღილაკით
 - გ) ორჯერ დავაწკაპუნოთ მასზე თაგვის მარცხენა ღილაკით
 - დ) ორჯერ დავაწკაპუნოთ მასზე თაგვის მარჯვენა ღილაკით.
- რომელი კლავიში გამოიყენება ნახატის არჩეული ფრაგმენტის გასამრავლებლად?
 - ა) <Shift>
 - ბ) <Ctrl>
 - გ) <Alt>
 - დ) <Caps lock>.

LAYH

ტექსტური რედაქტორი

24. პროგრამა WORDPAD

- როგორ ასწორებ სიტყვებში დაშვებულ შეცდომებს
საკუთარ რვეულში?
შეიძლება თუ არა ამის ისე გაკეთება, რომ კვალი არ დარჩეს?




კომპიუტერს ყველაზე ხშირად ტექსტებზე სამუშაოდ იყენებენ. კომპიუტერზე შეიძლება ტექსტის აკრეფა, მასში დაშვებული შეცდომების გასწორება, ტექსტში ნახატების ჩასმა, ადრე აკრეფილი ტექსტებიდან ახალი ტექსტის შედგენა.


ყოველ კომპიუტერში არის ტექსტებზე სამუშაო სპეციალური პროგრამები – **ტექსტური რედაქტორები**. ერთ-ერთი მათგანია პროგრამა **Wordpad**.



ამ პროგრამის გასახსნელად აუცილებელია სამუშაო მაგიდაზე მის ნიშანზე ორჯერ დაწკაპუნება. გაიხსნება პროგრამის ფანჯარა.



ტექსტურ რედაქტორში, ისევე, როგორც გრაფიკულ რედაქტორში, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა განთავსდეს დაწერილი ტექსტი ფურცელზე. ამიტომ მუშაობის დროს აუცილებელია **ფურცლის პარამეტრების** – მისი ზომისა და ორიენტაციის განსაზღვრა.



გვერდის პარამეტრების განსაზღვრის ალგორითმი

- ① მენიუს ზოლში გახსენი მენიუ **File**.
- ② აირჩიე პუნქტი **Page Setup**.
გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა.
- ③ განსაზღვრე ფურცლის ზომები
განყოფილებაში **Paper** (ფურცელი).
- ④ განსაზღვრე ფურცლის
ორიენტაცია განყოფილებაში
Orientation (ორიენტაცია).
- ⑤ დააწერ და დააკავშირდე **OK**.



წინა გაკვეთილზე გაიგეთ, როგორ შეიძლება ნახატების შენახვა კომპიუტერში. ზუსტად ასევე ინახავენ ტექსტებსაც. შეგიძლიათ, ტექსტებისთვის ახალი საქალალდე შექმნათ.


სამახსოვრო

- ტექსტური რედაქტორი
- კურსორი
- მენიუ
- ინსტრუმენტების პანელი
- დოკუმენტი

კომპიუტერში ტექსტის შენახვის ალგორითმი

- ① გახსენი პროგრამა **Wordpad**.
- ② აკრიფე ნებისმიერი ტექსტი.
- ③ გახსენი მენიუ **File**.

- ④ ჩამოშლილი სიიდან აირჩიე პუნქტი **Save As**. გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა.
- ⑤ ამ ფანჯარაში შექმენი საქაღალდე და დაარქვი სახელი (შეცვალე სიტყვები **New Folder** საჭირო სახელით).
- ⑥ გახსენი საქაღალდე.
- ⑦ დაარქვი ტექსტს სახელი. ამისათვის სტრიქონში **Name** შეიყვანე შესაფერისი სიტყვა (მაგალითად, **ნერილი**).



ტექსტურ რედაქტორი მუშაობის შედეგად იქმნება დოკუმენტი. მასში, ტექსტთან ერთად, შეიძლება ნახატებიც იყოს. ჩვეულებრივ, კომპიუტერში შენახულ დოკუმენტს ხშირად ხსნიან ხელახლა, რათა მასში ცვლილებები შეიტანონ.

კომპიუტერში შენახული დოკუმენტის გახსნის ალგორითმი

- ① გახსენი მენიუ **File**.
- ② ჩამოშლილ სიაში აირჩიე პუნქტი **Open**. გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა.
- ③ გახსენი საქაღალდე, რომელშიც ინახება დოკუმენტი.
- ④ იპოვე ფანჯარაში შენი დოკუმენტის სახელი და მონიშნე იგი.
- ⑤ დააწაპუნე ღილაკზე **Open**. დოკუმენტი გაიხსნება ტექსტური რედაქტორის სამუშაო მაგიდაზე.

მოივიქნა



შეადარე ერთმანეთს გრაფიკულ და ტექსტურ რედაქტორებში მსგავსი მოქმედებების შესრულების ალგორითმები.


25. ტექსტების მუშაობა

მზეზე თბება
ბიდონი,
რძით გაივსო
პითონი.

რომელი სიტყვები უნდა გადავაადგილოთ
ამ წინადადებაში, რომ სიმართლე გამოვიდეს?

დაბეჭდილი ტექსტის კითხვისას ზოგჯერ აუცილებელი ხდება მასში სიტყვების ან წინადადებების გადაადგილება.

სანამ კომპიუტერებს გამოიგონებდნენ, ამ ამოცანის გადასაწყვეტად ტექსტიდან სიტყვები უნდა ამოეჭრათ და საჭირო თანმიმდევრობით ხელახლა ჩაეწებებინათ. ინგლისურ ენაში ამ მოქმედებებს ასე აღნიშნავენ: **Cut and Paste** („ამოჭრა და ჩასმა“).




დოკუმენტის უშეცდომოდ შექმნა პირველივე ჯერზე საკმაოდ რთულია. ამიტომ ხშირად საჭირო ხდება მისი რედაქტირება.

დოკუმენტის რედაქტირება ნიშნავს ტექსტში სიტყვების ჩამატებას, წაშლას, გადაადგილებას, შეცდომების გასწორებას.

დაგენერირე !

ტექსტის აკრეფისას სასვენი ნიშნების შემდეგ შუალედის გამოტოვებაა საჭირო, ტირეს კი შუალედი მარჯვნიდანაც უნდა ჰქონდეს და მარცხნიდანაც.

ჩვეულებრივ, ტექსტის რომელიმე ფრაგმენტის რედაქტირებისას აუცილებელია მისი მონიშვნა. მონიშნული ფრაგმენტის ფერი იცვლება მისი საწინააღმდეგო ფერით, ანუ ეკრანზე შავ ფონზე თეთრი ასოები მოინიშნება.



ტექსტის ფრაგმენტის მონიშვნის აღმორითმი

- ① მიიყვანე თაგვის მაჩვენებელი ფრაგმენტის დასაწყისში.
- ② მარცხენა ღილაკიდან ხელის აუდებლად გადაადგილე თაგვის მაჩვენებელი ფრაგმენტის ბოლომდე.
- ③ აიღე თითი ღილაკიდან.

ტექსტიდან ფრაგმენტის ამოსაშლელად საჭიროა ჯერ მონიშნოთ ის და შემდეგ კლავიატურაზე თითი დააჭიროთ კლავიშს <Delete>.

ნიშანი

ზოოპარკში ბავშვებმა მაიმუნები, ვეფხვები და დათვები დათვები ნახეს.

Del

ზოოპარკში ბავშვებმა მაიმუნები, ვეფხვები და დათვები ნახეს.

ტექსტის ფრაგმენტის გადაადგილების აღმორითმი

- ① მონიშნე საჭირო ფრაგმენტი.
- ② დააწერ ინსტრუმენტების პანელის ღილაკზე **Cut** .
- ③ მოათვასე კურსორი საჭირო ადგილზე და დააწერ ინსტრუმენტების პანელის ღილაკზე **Paste** .



ძალიან ხშირად ტექსტებში ერთი და იგივე სიტყვები და წინადადებები მეორდება. აუცილებელი არ არის ყოველ ჯერზე კომპიუტერში მათი ხელახლა აკრეფა. ასეთ შემთხვევაში განმეორებად ფრაგმენტს ერთხელ აკრეფენ, შემდეგ დაკოპირებენ და ასლს ტექსტის სათანადო ადგილზე ჩასვამენ.

- ტექსტის ფრაგმენტი
- მონიშვნა
- რედაქტირება

ტექსტის ფრაგმენტის დაკოპირების ალგორითმი

- ① მონიშვნე საჭირო ფრაგმენტი.
- ② დააწერ ინსტრუმენტების პანელის ღილაკზე **Copy** .
- ③ მოათავსე კურსორი საჭირო ადგილზე და დააწერ ინსტრუმენტების პანელის ღილაკზე **Paste** .



Copy, Cut, Paste პრძანებების დახმარებით შესაძლებელია ტექსტების შედგენა სხვა ტექსტების ფრაგმენტებისგან.

ჩვენს ქვეყანაში გაზაფხული
მოვიდა. ცაზე მზე კაშაშებს
ნებზე კვირტები გამაღა. ყველაფერი ნოვრუზის
დღესასწაულის შესახვედრად ემზადება.
ეს ყველაზე საყვარელ დღესასწაულად
მიაჩნიათ როგორც ბავშვებს, ისე უფროსებს.

ჭიკჭიკებენ მერცხლები,
შრიალებენ ვერხვები.
გაზაფხული დადგა,
ხეში წყალი ჩადგა.


ჩვენს ქვეყანაში გაზაფხული მოვიდა.
ცაზე მზე კაშაშებს.

ჭიკჭიკებენ მერცხლები,
შრიალებენ ვერხვები.

26. ნახატის ჩასმა ტექსტში

- რატომაა სახელმძღვანელოებში ბევრი ნახატი?
- ამ წიგნში რომელი ნახატი მოგწონთ?

ტექსტში ნახატების ჩასმის მიზანია მისი განმარტება და აღქმის გაადვილება.



თანაც ნახატები ამშვენებს ტექსტს და კარგ განწყობას გვიქმნის.

გვირფასო დედა!

გილოცავ დაბადების დღეს!

მინდა, რომ ყოველთვის
მხიარული
და ჯანმრთელი მყავდე!

შენი შვილი ალფაი

გვირფასო დედა!

გილოცავ დაბადების დღეს!

მინდა, რომ ყოველთვის
მხიარული
და ჯანმრთელი მყავდე!


შენი შვილი ალფაი




ნახატებიანი ტექსტების ადვილად შექმნაში დაგეხმარებათ თქვენთვის ნაცნობი პროგრამები Wordpad და Paint.

ტექსტში ნახატის ჩასმის ალგორითმი

- ① გახსენი პროგრამა Wordpad.
- ② პროგრამის ფანჯარა სამუშაო მაგიდის მარცხენა მხარეს მოათავსე.
- ③ გახსენი გრაფიკული რედაქტორი Paint.
- ④ პროგრამის ფანჯარა სამუშაო მაგიდის მარჯვენა მხარეს მოათავსე.




- ⑤ გადადი ტექსტურ რედაქტორში. თაგვის მაჩვენებელი **Wordpad**-ის ფანჯარის სამუშაო ველში მიიყვანე და თაგვის მარცხენა ღილაკზე დააწერ.
- ⑥ აკრიფე ნებისმიერი ტექსტი.
- ⑦ დააფორმატე ტექსტი დაფორმატების პანელის ინსტრუმენტების გამოყენებით.
- ⑧ გადადი გრაფიკულ რედაქტორში. თაგვის მაჩვენებელი Paint-ის ფანჯარის სამუშაო ველში მიიყვანე და თაგვის მარცხენა ღილაკზე დააწერ.
- ⑨ შექმენი პროგრამა Paint-ში ნებისმიერი ნახატი.
- ⑩ მონიშნე იგი.



- ⑪ მენიუში Edit აირჩიე პუნქტი Copy.
- ⑫ გადადი ტექსტურ რედაქტორში. მოათავსე კურსორი ტექსტის ბოლოში და დააჭირე კლავიშს <Enter>.
- ⑬ დააწაპუნე ღილაკზე Paste .



მიიღებ ქვემოთ მოცემულის მსგავს დოკუმენტს. შეგიძლია, შეინახო ის შენს საქალალდეში.



მოიციდეთ

რომელი ნახატი შეეფერება ქვემოთ მოცემულ ტექსტს?
მოიფიქრე ტექსტი დანარჩენი ნახატებისთვის.

პატარა ორჰანი ბავშვებს ფეხბურთს ეთამაშებოდა. ბურთის კარში შეგდება უნდოდა, მაგრამ ტლაპოში ჩაუვარდა.



LAYH

27. სიტყვების ჩასმა ტექსტში

- რამდენჯერ მეორდება სიტყვა „ტექსტი“ წინა პარაგრაფში („ნახატის ჩასმა ტექსტში“)?


წინა გაკვეთილის ტექსტში რომ სიტყვა „ტექსტი“ მოძებნოთ, დიდი დრო არ დაგჭირდებათ. მაგრამ ამ სიტყვის მთელ წიგნში მოძებნას გცილებით მეტი დრო უნდა. ეს ძალიან დამღლელი სამუშაო იქნებოდა.



ტექსტურ რედაქტორში ამ ტიპის მოქმედება ძალიან სწრაფად და იოლად სრულდება.

ტექსტში სიტყვის მოძებნის ალგორითმი


- გახსენი პროგრამა **Wordpad**.
- აკრიფე შემდეგი ტექსტი:
მიჰექრის მთებში მატარებელი,
დაგ-დაგ, დაგ-დაგ, დაგ-დაგ.
- გახსენი მენიუ **Edit** და აირჩიე **Find**.
- სტრიქონში **Find what** აკრიფე
სიტყვა „დაგ“.
- დააწაპუნე ღილაკზე **Find Next**. ტექსტში მოინიშნება პირველი
მოძებნილი სიტყვა „დაგ“.
- ღილაკზე **Find Next** დაწაპუნებით მოძებნე დანარჩენი სიტყვები „დაგ“.
- როდესაც ეკრანზე გაჩნდება შეტყობინება ძიების დასრულების შესახებ,
დააწაპუნე ღილაკზე **Cancel**.






- მოძებნა
- შეცვლა
- ცნობა

ზოგჯერ საჭიროა არა მარტო რომელიდაც სიტყვის მოძებნა, არამედ მთელ ტექსტში მისი სხვა სიტყვით შეცვლა. ტექსტური რედაქტორი ამის გაკეთების საშუალებასაც იძლევა.



ტექსტში სიტყვის მოძებნისა და შეცვლის ალგორითმი

- ① გახსენი მენიუ **Edit** და აირჩიე პუნქტი **Replace**. გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა.
- ② სტრიქონში **Find what** აკრიფე სიტყვა, რომელსაც ეძებ („დაგ“), ხოლო სტრიქონში **Replace with** – სიტყვა, რომლითაც მისი შეცვლა გინდა („დუგ“).



- ③ დააწერ და დააკავშირდეთ **Replace All**.

ამ ალგორითმის დასრულების შემდეგ ღერძში „მატარებელი“ ყველა სიტყვა „დაგ“ შეიცვლება სიტყვით „დუგ“.

LAYT




ტექსტურ რედაქტორში აკრიფეს შემდეგი ტექსტი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გუნდები „ვეფხვები“ და „არწივები“. ეს თამაში „ვეფხვების“ გუნდმა წააგო. ორივე გუნდმა კარგად ითამაშა.

რა ცვლილებები მოხდება ტექსტში შემდეგი ალგორითმის შესრულების შემდეგ?

- ① გახსენი მენიუ **Edit** და აირჩიე **Replace**.
- ② სტრიქონში **Find what** აკრიფე სიტყვა „წაა“, ხოლო სტრიქონში **Replace with** – სიტყვა „მოი“.



- ③ დააწერ და დააკავშირე **Replace All**.

პროგრამა **Wordpad**-ს, ისევე, როგორც სხვა პროგრამებს, გააჩნია მენიუ „დახმარება“. პროგრამის ნებისმიერი ნაწილიდან ამ მენიუს გამოსაძახებლად, საკმარისია, დააჭიროთ კლავიატურის <F1> კლავიშს. გახნილ მენიუში მონახეთ საჭირო თემა და მიიღებთ საჭირო ინფორმაციას ამ თემაზე.




28. კომპიუტერული გამოთვლები


- რა თანმიმდევრობით სრულდება მოქმედებები არითმეტიკულ გამოსახულებაში?
- რა მომდევრობით პოულობენ ამ გამოსახულებების მნიშვნელობას?
(3+4)·3
3·5 - 4·2

თქვენ ყოველდღიურად გიხდებათ რაღაცის გამოანგარიშება – ხან გონებაში, ხან ფურცელზე. რთული გამოთვლების ჩატარებისას შეგიძლიათ ისარგებლოთ კალკულატორით.

კომპიუტერს გააჩნია **პროგრამა „კალკულატორი“**, რომელიც ძალიან ჰგავს ჩვეულებრივ ჯიბის კალკულატორს.



ამ პროგრამის გასახსნელად თავვის მაჩვენებელი პროგრამის ნიშანთან უნდა მიიყვანოთ და ზედ ორჯერ დააწკაპუნოთ. როგორც ნებისმიერი სხვა პროგრამა, კალკულატორიც თავის ფანჯარაში იხსნება.



პროგრამა კალკულატორის დახმარებით გამოვიანგარიშოთ

4 · 2

გამოსახულების მნიშვნელობა.

••• სამახსოვრო

- კალკულატორი
- მეხსიერების ღილაკები
- ეკრანი

- ① მიიყვანე თაგვის მაჩვენებელი ღილაკთან ციფრით **4** და მასზე დააწერ დააწერ. ეს ციფრი კალკულატორის ეკრანზე გამოჩენდება.
- ② დააწერ დააწერ *.
- ③ დააწერ დააწერ ციფრით **2**.
- ④ პასუხის მისაღებად დააწერ დააწერ =. ეკრანზე გამოისახება ციფრი **8**.

თუ ციფრების შეყვანისას შეცდომას დაუშვებთ, შეგიძლიათ მათი უმაღლ გასწორება.

- ① დააწერ დააწერ ღილაკზე **2, 3, 5**. ეკრანზე გაჩენდება რიცხვი **235**.
- ② დააწერ დააწერ **Backspace**. ეკრანზე დარჩება რიცხვი **23**.
- ③ კიდევ ერთხელ დააწერ დააწერ ღილაკზე **Backspace**. ეკრანი შეიცვლება და მასზე დარჩება მხოლოდ ერთი ციფრი – რიცხვი **2**.
- ④ დააწერ დააწერ ღილაკზე **5, 7**. ეკრანზე გაჩენდება რიცხვი **257**.

გამოანგარიშება მთავრდება = ღილაკზე დაჭრის შემდეგ. ამის შემდეგ შეიძლება ახალი რიცხვებისა და მოქმედებების შეყვანა.

ახალი გამოანგარიშების ჩასატარებლად საჭიროა ეკრანის გაწმენდა. ამის გაკეთება შეიძლება ღილაკით **C**.

135.



C



0.

არსებობს ისეთი გამოსახულებები, რომლებშიც გამოთვლების შუალედური შედეგების დამახსოვრებაა საჭირო. ამისათვის კალკულატორს აქვს მეხსიერებაზე სამუშაო ღილაკები.

MS

ამ ღილაკზე დაჭრით ეკრანზე გამოსახული რიცხვი კომპიუტერის მეხსიერებაში ჩაიწერება.

LAY

MR

ამ ლილაკზე დაჭრით რიცხვი კომპიუტერის მეხსიერებიდან ეკრანზე გამოდის.

ამ ლილაკების გამოყენებისას შუალედური შედეგების ფურცელზე ჩაწერა აღარ დაგჭირდებათ.

მაგალითად, საჭიროა, გამოიანგარიშოთ შემდეგი გამოსახულების მნიშვნელობა:

$$3 \cdot 5 + 4 \cdot 2$$

3·5 + 4·2 გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა პროგრამა „კალკულატორის“ მეშვეობით

- ① გახსენი პროგრამა კალკულატორი.
- ② თანმიმდევრობით დააწეაპუნე ლილაკზე $3 \boxed{*} 5 =$. ეკრანზე გაჩნდება რიცხვი **15**.
- ③ დააწეაპუნე ლილაკზე **MS**. ეკრანზე გამოსახული რიცხვი კომპიუტერის მეხსიერებაში ჩაიწერება.
- ④ თანმიმდევრობით დააწეაპუნე ლილაკზე $4 \boxed{*} 2 +$. ეკრანზე გაჩნდება რიცხვი **8**.
- ⑤ დააწეაპუნე ლილაკზე **MR**. რიცხვი (**15**) კომპიუტერის მეხსიერებიდან ეკრანზე გადმოვა.
- ⑥ დააწეაპუნე ლილაკზე $\boxed{=}$. ეკრანზე გამოისახება რიცხვი **23**.

ეს საინტერესოა

პირველი ჯიბის კალკულატორი 1971 წელს იაპონიაში გამოიგონეს. მისი სიგრძე 13 სმ იყო, სიგანე – 8 სმ და სისქე – 4 სმ. ამ კალკულატორით მხოლოდ 4 მათემატიკური ოპერაცია სრულდებოდა.





კითხვები და დავალებები

1. რა დანიშნულება აქვს პროგრამა Wordpad-ს?

- ა) გრაფიკული რედაქტორი
ბ) სათამაშო პროგრამა
გ) მულტიმედიური პროგრამა
დ) ტექსტური რედაქტორი.

2. ამ გამოსახულებებიდან რომელია პროგრამა Wordpad-ის ნიშანი?

- ა) ბ) გ) დ)

3. რომელი ლილაკების დახმარებით შეიძლება ტექსტის ფრაგმენტის გადაადგილება?

- ა) ბ) გ) დ)

4. რომელი ლილაკების დახმარებით შეიძლება ტექსტის ფრაგმენტის დაკოპირება?

- ა) ბ) გ) დ)

5. რომელი პუნქტი უნდა ავირჩიოთ მენიუში File გვერდის ზომების დასაყენებლად?

- ა) Save 6) Save as 7) Page Setup რ) Open

6. რომელი პუნქტი უნდა ავირჩიოთ მენიუში File კომპიუტერში ტექსტის დასამახსოვრებლად?

- ა) Save as 6) Open 7) Page Setup რ) New

7. რომელი ბრძანებები უნდა შევასრულოთ ტექსტში სიტყვების მოსაძებნად და შესაცვლელად?

- ა) Edit ⇒ Cut 6) Edit ⇒ Find 7) Edit ⇒ Replace რ) Edit ⇒ Copy

8. რისთვისაა განკუთვნილი პროგრამა „კალკულატორი“?

- ა) ტექსტის ასაკრეფად 6) ნახატის შესაქმნელად
გ) გამოთვლების ჩასატარებლად დ) ყველა ჩამოთვლილი მოქმედებისთვის.

9. რომელი ლილაკით უნდა ვისარგებლოთ პროგრამა „კალკულატორში“, ეკრანზე გამოსახული რიცხვის ბოლო ციფრი რომ წავშალოთ?

- ა) MC 6) Backspace გ) C დ) MR

10. რომელი ლილაკით უნდა ვისარგებლოთ პროგრამა კალკულატორში, ეკრანზე გამოსახული რიცხვი კომპიუტერის მეხსიერებაში რომ ჩავნეროთ?

- ა) MR 6) M+ გ) C დ) MS

ინგლისურად

cancel
copy
cut
cut and paste
define custom colors
edit
edit colors
file
file name
find
find next
find with
folder
landscape
new
my documents
open
orientation
page setup
paint
paper
paste
portrait
replace
replace all
replace with
save
save as
save as background
(centered)

გამოთქმა

ქენსელ
ქოფი
ქათ
ქათ ენდ ფეისთ
დეფაინ ქასტამ ქალას
ედით
ედით ქალაზ
ფაილ
ფაილ ნეიმ
ფაინდ
ფაინდ ნექსთ
ფაინდ უიდ
ფოულდე
ლენდსქეიფ
ნიუ
მაი დოკუმენტს
ოუფენ
ორიენტეიშენ
ფეიჯ სეთაფ
ფეინტ
ფეიფა
ფეისთ
ფორმარით
რიფლეის
რიფლეის ოლ
რიფლეის უიზ
სეივ
სეივ ეზ
სეივ ეზ ბექტაუნდ
სენთედ

ქართულად

გაუქმება
დაკოპირება
ამოჭრა
ამოჭრა და ჩასმა
ფერის განსაზღვრა
რედაქტირება
ფერების რედაქტირება
ფაილი
ფაილის სახელი
მოძებნა
შემდეგის მოძებნა
მოძებნა ...თან
საქალალდე
ალბომისებრი
ახალი
ჩემი დოკუმენტები
გახსნა
ორიენტაცია
გვერდის პარამეტრები
ხატვა
ქალალდი
ჩასმა
პორტრეტი
შეცვლა
შეცვლა ყველგან
შეცვლაით
შენახვა
შენახვა, როგორც
შენახვა, როგორც
ფონური
ნახატის (ცენტრში)

Backspace
Ctrl
Delete
OK
Wordpad

ბექსპეის
ქონტროლ
დილით
ო ქეი
უორდ ფად